


ლიტერატურული გაზეთი

№83 5 - 18 ოქტომბერი 2012

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



პროზა

ზურაბ ლავრელაშვილი

კუპიდონის
შურისძიება

II-III

პოეზია

ნიკა ჯორჯანელი

დაღამება. ტერასა

IV-V

მარიამ ნიკლაური

იფსიზლა

VIII-IX

ჩანაწერები

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის
ანაბეჭდები

VI

მსმ

თემურ გაბუნია


უჩვეულოდ
დასამახსოვრებელი...
და სრულიად
ნარუმატებელი

VII

როსტომ ჩხეიძე

გოეთა — გოტია —
ბალაკტიონი

X-XI





ტიტინებდა ბავშვი, — გინდა, რომ მოვიდე, ირენე?

თამადამ მორიგი სასმისი შემართა და ირენე დალოცა. ირენემ უნებურად ხელი უშვა გოგონას, მადლობის სათქმელად წამოიწია და ბავშვის დაპირება აღარ გაუგონია. სახე უცინოდა, ახლობლებს თავს უკრავდა და გულიც თამადას თასივით ჰქონდა ბედნიერებით სავსე. ლხინს გვიანობამდე შეჰყვენენ, შინაც გვიან დაბრუნდნენ. ისე იყო დალოლილი, მოსასხამის გახდა ძლივს მოასწრო. შუქი აღარ აუნთია და სასტუმრო ოთახში დივანზე მიწვა. მაშინვე ჩაეძინა: ღრ-

მად, უშფოთველად, ოღონდ რაღაცნაირი ფხიზელი ძილით, როცა ერთდროულად უმცირესი გაფაჩუნებაც ეყურებოდა (ეს-მოდა, როგორ ფრთხილად დააბიჯებდა კაცი სამზარეულოში მინერალური წყლის საძებრად) და გონებით სხვაგან იყო — ხვალინდელ დღეში. ხედავდა ხალხით სავსე დარბაზს, უცხო, მკრთალ სახეებს, სამოსის ლაქას, დაბინდულ მზერას და დარბაზში საოცრად ჰგავდა გადახსნილ იარაღს. ირენე შიშითა და გულისფანცქალით ელოდა თავის რიგს, რათა სცენაზე გასულიყო, თუმცა გრძობდა, რასაც ამ წუთას შეებოჭა, მთლად შიშით არ იყო, ცნობისმოყვარეობას ჰგავდა, რაკი ეგრე მოუთმენელი ინტერესით მოელოდა დარბაზში კუბიდონივით ფუნქულამკლავებიანი გოგონას შემოსვლას. „ნუ გეშინია, ირენე! — ჩასძახოდა ვიღაც — ის არ მოვა!.. თუნდაც მოვიდეს, ვერაფერს გავნებს, რადგან შენ გაიმარჯვე!“

ირენეს ღიმილმა გაუპო ბაგე ძილში, გვერდი იცვალა და იგრძნო, როგორ დაახურა ფრთხილად ზენარი ქმარმა და როგორ გაბრუნდა კაცი ფეხის წვერებზე სანოლ ოთახში, რათა ირენე საღათას ძილისაგან არ გამოეფხიზლებინა.

რძის ათ წუთზე ირენეს ქმარმა დაურეკა კულისებში.
— მამატიე ძვირფასო, ცოტა მაგვიანდება. ლელავ?
ირენე კანკალებდა, ხალხით სავსე დარბაზმა თავბრუ დაახვია. ანტიერპრენიორმა გამაყურებელი აბი მისცა, მაგრამ ირენემ მყესების ცახცახი ვერ დაიოკა.
— თუ გინდა, მოვალ და წამოგიყვან, — შესთავაზა ქმარმა, თითქოს მისი გასაჭირი ეგრძნოს. რა იყო გასაკვირი! ერთად ამდენი ხანი ეცხოვრათ და ხმის ბგერვითაც შეეძლოთ ერთმანეთის განწყობისა თუ ფიქრის შეცნობა.
— მიშველე! — დასცდა ირენეს.
— გამაგრდი, ირენე, მოვდივარ.
ირენეს ყურმილი ხელიდან გაუფარდა, თავადაც დაეცემოდა, ანტიერპრენიორს რომ არ შეეკავებინა.

— არაფერია, გამივილს.
დარბაზი ყრუდ გუგუნებდა. ირენემ ფარდის ღრიჭოდან გაიჭვრიტა და ის დაინახა, რაც აქამდე უკვე ენახა..
აქ უკვე ნამყოფი იყო. ნუხელაც ამ სცენაზე იდგა, აქედან გადასცქეროდა ხალხით სავსე დარბაზს, ასეთივე შიშით უღევდა გულს, ოღონდ სიზმარს ბედნიერი გაგრძელება ჰქონდა, რაკი ირენემ გაიმარჯვა და არც შურისმაძიებელი კუბიდონი მოსულა მის დასამარცხებლად.
— გასვლის დროა, ირენე! — მოესმა ზურგსუკან ანტიერპრენიორის ჩურჩული.
ირენემ ნაბიჯი წადგა. ფარდა ასწიეს. ირენემ სინთით იგრძნო, ფეხის წვერით მოსინჯა ადგილი, თითქოს ყინულივით ცივი მდინარის პირას იდგა და შესვლა ვერ გაუბედა.

კანტი-კუნტად მოისმა ტაშის ხმა. ხმაურით მიწყნარდა, ირენემ წამით მიიხედა.
— მიდი, ირენე! — გაუღიმა ანტიერპრენიორმა და გასამხნეველად ოდნავ უბიძგა. ირენემ თვალი გააყოლა მის ხელს და გაშეშდა: დარბაზის სიღრმიდან ბრბოს მორღვევდა კაცის კისერზე შემომჯდარი ქერა კულულებიანი გოგონა; მუქი ალუბლისფერი მძიმე კაბა ეცვა და კაბის ქვემოდან თეთრ ლაქასავით მოუჩანდა აბრეშუმის წინდები. ირენემ თვალები დახუჭა, მაგრამ დარბაზისფერული ქუთუთოების ღრიჭოდანაც ხედავდა მისკენ დაჟინებით მომავალ კაცსა და ბავშვს, რომელსაც მუქარით შეემართა ხელი.
უსუნო და უფერო მორევის ტალღა შემოადგა ირენეს და ისიც თავდაუზოგავად გადაეშვა ზვირთებში, ოღონდ, სანამ ნაიქცეოდა, ერთხელ კიდე შეასწრო შინაგანი მზერა, როგორ გამოკრთა მუქი ქსოვილის სიმრუმიდან კუბიდონის ფუნქულა მკლავი და როგორ იელვა მის ხელში რეველვერის ლულამ..
გასროლის ხმა ირენეს არ გაუგონია.

რძის ირენეს ქმარი სცენაზე აიჭრა, ქერაკულულებიანი გოგონა ხალხის ტალღამ კიბესთან მიაგდო, მაგრამ გოგონას ხელიდან მაინც არ გაუშვია საჩუქარი — რეველვერის ფორმის ვერცხლის სანთებელი. გოგონას მკერდზე ყვავილების თაიგული მიეხუტებინა და ბრახით აკვესებდა აქატიფერ თვალებს, რაკი ბრბო სცენაზე ასასვლელად კიბესთან არ უშვებდა. ბოლოს ვიღაცამ მოისახრა და გოგონა ხელში აიყვანა, სცენაზე შესვა. ბავშვი ნელ-ნელა მიუახლოვდა ჩაჩოტილ კაცს, რომელსაც იატაკზე გამოტილი უღონო ქალის მავა ეჭირა თითებით. მან გაუბედავად გაიწვია ხელი და ყვავილები დაეცვივდა სცენაზე, ნიშნად ნიჭის თაყვანისცემისა, მაგრამ ირენე აღარ სუნთქავდა.

დანტი ალიგვიერის უცნობი მოგზაურობა ჯოჯოხეთში

ფლორენციალი მოქალაქის, დანტე ალიგვიერის ცნობილ თხზულებას „ღვთაებრივი კომედია“ უცნაური ბედი დაჰყვა — უამრავი გადაკეთებისა და ჩამატების გარდა არსებობს დამატებები და გაგრძელებები, საიქიოს კუთხე-კუნჭულებს გულდაგულ რომ აგვიჩვენებ. როგორც ჩანს, მიმბაძველებს ეხამუშათ თუ ეცოტავათ ტანჯულთა სიმცირე სალხინებელსა და ჯოჯოხეთის სკნელებში და კიდევ ბევრი სანამებელი ალაგი მიუსართეს უსასრულო ტანჯვის ლაბირინთს.
ერთ-ერთი ასეთი საინტერესო, თითქმის დამოუკიდებელი თხზულება აბატ ფერარის მიერ გადამწერილი და ვატიკანის ბიბლიოთეკაში შემორჩენილი ნაშრომი („ჭიპლარი“), რომელიც მანამდე რავენას მახლობლად, კაპუცინთა მონასტერში ინახებოდა. თხზულება ჩაფიქრებულია „ღვთაებრივი კომედიის“ რიგით თავად იმ ვარაუდით, რომ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს დანტეს პოემის სხვა ვარიანტს კითხულობდეს, სადაც სალხინებლის აღწერისას გვხვდება იმგვარი განსაზღვრული, როგორც ამ თავშია ხსენებული... აქაც ვერგილიუსი მიუძღვის ფლორენციელს და უჩვენებს ცოდვილებს, რომლებიც არცთუ გასაგები მიზეზის გამო იტანჯებიან. მეგზური არ განმარტავს, თუ რად და რისთვის მოხვედრილა აქ ეს ხალხი, თუმცა ჩვეული პათოსით კი აუნერს დანტეს მათთვის გამზადებული სასჯელის სისასტიკეს.

მულია ხეზე; იქვე სხვა კაცი დგას და მარჯვენა მკლავის ნაცვლად ალამი გამოზმია მხარზე. სიღრმეში უფროდაუფრო შესვლისას მათ ხედვით ხალხი ფრიად უცნაური გარეგნობისა: ერთს საკუთარი მშობლები შემოუსვამს მხრებზე. სხვებს ლითონის მონეტები უსხედან თვალის ფოსოებში და ვერცხლი თუ ოქრო უსიამოდ ბრჭყვინავს ბნელში. ვერგილიუსი ფლორენციელს უჩვენებს მწვანეკანიან ადამიანებს და დასძენს, რომ ესენი თეთრკანიანები იყვნენ, ოღონდ ფერადკანიანთა სიძულვილით გამწვანდნენ... ხედვებით ისეთნიც, ვისაც თავის ნაცვლად ღვთის გამოსახულებიანი ბიუსტი ადგას კისერზე.. გაკვირვებული დანტე ეკითხება მეგზურს, თუ რა ცოდვისათვის ერგოთ ასეთი უცნაური მეტამორფოზა ამ ადამიანებს და ვერგილიუსიც ლექსად პასუხობს:

„დაუბადებელთ, არ უწყიათ
ქვეყნის სიკეთე,
არცერთი ჭინკა თუ
მსახური ჯოჯოხეთისა
არეინ გადაჭრის ჭიპლარის ნასკეს,
რომელიც მათთვის
უმსხვილესია თვით ბავირზე გემის
თუ ნავის...
არც არა ღმერთი შეენევათ
საბრალო ბალებს
ჭალარა წვერით და
თეთრი მხცით მოსილებს მაინც.“

უფრო მეტად გაოცებული დანტე კი იმის შეტყობას ცდილობს, თუ სად არიან ახლა: ჯოჯოხეთში თუ სალხინებელში? აქვთ თუ არა შანსი ამ ცოდვილთ შენდობისა? ან რა ხანი უნდა იტანჯოს ეს ხალხი, სანამ მოანევედეს ფამი მათი ხელახალი დაბადებისა?
ვერგილიუსი ჯერ დუმს, თითქოს ფლორენციელის კითხვა არც ესმისო, მერე კი უცნაურს ამბობს: ისინი არც დახოცილან და არც ეს ადგილია საიქიო.
(ამ ადგილას ტექსტი გადაშლილია და ლათინურ წინადადებაში ბერძნულად წერია „სტერეონ“ — მყარი ცა)

„ჰა, უბედურნი, აქ ელიან
ჟამთა დასასრულს,
რომ კვლავ მიიტყვენ
მინად და მტვრად, ობლად შთენილნი,
ალორძინდება თელი მათი,
ვით მარცვლი პანანა მინდვრად
და ვერ იხილავს მზერა მათი
მზის სიმხურვალეს.“
პოემის სულისკვეთებასთან მისამსგავსებლად ამ თავშიც ტანჯულთა მთელი პანოპტიკუმი ნაჩვენებია: დანტე ხედავს შიშველ კაცს, რომელიც ჭიპლარით მიბ-



კითხვა-მიგების ხერხით დანერღ თხზულებაში ახლა დანტეს ჯერი დგება და ისიც არ აყოვნებს:
— თუ აგრეა, სად ვიმყოფებით?
ვერგილიუსი თავის მხრივ მიუგებს:
— დონატუს, შენ ვერაფერს მიხვდი (მან დანტეს სახელი ლათინური დაბოლოებით წარმოთქვა). ესენი მე და შენ ვართ, მინის შვილინი, დედამინის მკვიდრნი და ნუ გეგონება, თითქოს რომელიმე ტომს ან რასას ეკუთვნოდნენ ისინი, რადგანაც კაცი, რომელიც ჭიპლარით მიბმია ხეს, ჩვენი ბალობაა, რომლისთვისაც ჯერაც თავი ვერ დაგვიღწევია, ხოლო კაცი, ვისაც აღამი უწყურია ხელის ნაცვლად — მე და შენ ვართ სახელმწიფოსა თუ მთავრისათვის თაყვანისცემის ფამს; ჩვენც ისევე დავატარებთ მშობლებს მხრებით, როგორც ის

კაცი, ნელში რომ იყო გადრეკილი მათი ზიფით და თუ იცი, რატომ? იმიტომ, რომ ბაღლია ჯერაც, ვერ განშორებია დედის ალერსსა თუ მამის მზრუნველობას, თუმცა სიჭარბამის თმა-წვერი მოსაგს უკვე...
მწვანეკანიანი კაცი სხვათმძულეა: მან თავისი რასის ფერი გააღმერთა, ვერცხლისმოყვარეთ კი თვალის ნაცვლად მონეტები უსხედან ფოსოებში. ესენიც მე და შენ ვართ ოქროსმოყვარეობის ფამს.
ფრიად შეჩქვიფდა დანტე, მაგრამ მაინც ჰკითხა მეგზურს:
— ის ვინაა იყო, საყვარელო ვერგილიუს, ღვთაების ბიუსტი რომ ედგა მხრებზე?
ახლა კი გაიღიმა აქამდე პირქუშმა მეგზურმა:
— ეგ ჩვენი თავმონებოაა, ჩვენი ცუდმედილობა, ჩვენი ამპარტავნება... ეგეც ჩვენა ვართ, დონატუს, ექსტაზისა და ლოცვისას, როცა ღმერთს შენევენს ვეაგვით.
— ნუთუ ღვთის რწმენა ცოდვია? — კიდევ უფრო გაოცდა ფლორენციელი.
— ვაი კაცს, ვინც ღვთის კანონით არ ცხოვრობს და ასჯერ უფრო ვი იმას, ვინც მხოლოდ ღვთის იმედით ცხოვრობს.. ესენიც ბალები არიან, რაკი ვერ ეთმობათ ღმერთი — ნუგეში და სასოება თვისი..
აქ საუბარი წყდება და ამას მოსდევს გადამწერისა თუ რედაქტორის ვრცელი მსჯელობა ღვთიური სათნოების თაობაზე, რაც ჩვენთვის უკვე საინტერესო აღარ არის... თხზულების კომენტარებისას ბევრი მეცნიერი ასკვნის, რომ ამ ეპიზოდით ერეტიკოსს გადამწერს სურდა დანტეს ორთოდოქსული რწმენა დაესუსტებინა, თუმცა პასუხი ვერაფერს გასცა კითხვას, თუ რად მოათავსა უცნობმა ავტორმა სააქაო ჯოჯოხეთის სკნელებს შორის და რად უწოდებს ვერგილიუსი სრულიად დასარულ ადამიანებს ბალებს; ან რატომ ჰგავს ასე ძალიან აქ აღწერილი სააქაო საიქიოს და რას მიაჩნებებს ეს მსგავსება?
პასუხი ჰაერშია გამოკიდული, ტანჯულთა თავზემოდ, იმ სიბნელესა და სიმრუბეში, რასაც აგრე დაჟინებით აკვირდებოდა დანტე და რაც ჯერ-ჯერობით ვერავის შეუცვნია...



ნიკა ჯორჯანელი

* * *

შუქი. იქიდან წამოსული ლექსი.
შუქზე. იქაობის მარად სიმშვიდეზე.
ხავსზე. ქვეყნიურ ალტაცებათ ლექზე...
ახლოს მიმიშვებდეს.

ახლოს. ცოტათი მიმიშვებდეს ახლოს.
შუქი. რამეგვარად. და ხელს შემახებდეს.
ბნელა. წყვიდადში მიბოძებდეს ალლოს.
შიგ ნუ შემახებდეს.

მინა... ვერც ტახტს და ვერც უბრალო ჯორკოს
ზედ ვერ დაიმკვიდრებ. ბრუნავს, უდაბური.
ბრუნავს, ჭრიალებს. მარტოხელა, როგორც
ნისლში მებადური.

სან-მიკელა

როდესაც სასაფლაოსკენ მიმავალი გზა წყალზე გადის
და თანაც სულ ვერ აცნობიერებს ვაპორეტოს მემანქანე,
რომ ქარონია გარკვეულნილად,
მთლად სასაფლაოზეც არ მიდიხარ, მაშასადამე.
მეორე მხრივ, უკვე მოხვედრილი მასზე, ხედავ,
რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას,
წყლით მიხვიდოდი იქ თუ ხმელეთით.

მკვდრების კუნძულზე იმიტომ წავედი,
რომ იქ ერთი ჩემს საყვარელ პოეტთაგანი ასვენია.
რა თქმა უნდა, იმ ილუზიით არ წავსულვარ,
რომ მას თუნდაც ოდნავ ცოცხალს აღმოვაჩენდი.
მაგრამ რატომღაც მაინც არ მეგონა,
მცირეოდენ ურთიერთობასაც კი თუ
ვერ შევძლებდი მასთან.

იქ ჭაჭანება არ იყო მისი.
ცხელდა, და ჭრიჭინობლებს ყურთასმენა მიჰქონდათ.
გარშემო წყალი იყო და ჭრიჭინობელთა უწყვეტი ხმაური,
მალლა – ლაჟვარდოვანი კრიალა ცა.
კაცმა რომ თქვას, მეტი არაფერი.
და გამოვიდა, რომ მე ამაოდ ვესტუმრე
მკვდრების კუნძულს.

არა მგონია, რამე არსებობდეს საფლავებზე მოჩვენებითი,
მათზე უფრო პირობითი და წარმავალი.
და მაპატიეთ, მაგრამ მე არ მჯერა საფლავების.
ლამის იმ წუთიდანვე არ მჯერა,
რაც მათ შესახებ შევიტყვე.

არ მჯერა მით მეტად, რაც უფრო იმათი მჯერა,
ვის ძვლებსაც ისინი ინახავენ.
და მაინც ავიღე და კიდე ერთხელ მივედი საფლავზე,
კიდე ერთხელ დაუფჯერე საფლავის ძახილს,
და მერამდენედ მოვტყუვდი უკვე.

ცარიელია საფლავები,
მაგრამ სირინოზებივით გვეძახიან,
აღვითქვამენ ძლივსგასაგონი მღერით,
რომ, თუ მათთან მივალთ,
ისინი მცირეოდნად შეგვახვედრებენ იმათ,
ვინც მათში გვეგულება.
და ჩვენ ისევ და ისევ მივდივართ საფლავებზე,
მაგრამ იქ არავინ არ გვხვდება,
სხვა ჩვენნაირ მოტყუებულთა გარდა.
და მე არ მჯერა საფლავების, და მე არ მჯერა საფლავების.
და მე ვმღერო და გავყვირო, რომ მე არ მჯერა საფლავების.
და მე ვიცეკვებდი კიდეც, რომ მე არ მჯერა საფლავების.
საფლავები მწარედ გვატყუებენ,
და ძვლებს, მათ ერთადერთ მიგთავსს, ელიმებათ ჩვენზე.

* * *

მე ბევრს ვერ გეტყვი, რადგან თვითონ ძალზე ცოტა ვარ.
არც საჩუმრად მაქვს თანაც საქმე და არც სამღერლად.
რა ადვილია ყვავილების შენთან მოტანა.
მაგრამ განვდენა შენთვის მათი ძნელი საქმეა.

ნეტავ, ძვირფასო, საბოლოოდ რად დაგაჩნდები,
თუკი არსებობ, თუკი არ ვარ შენი მომგონი.
რა მსუბუქია ეს ცხოვრება, სანამ გაჩნდები,
მაგრამ შემდგომად გაჩენისა – მძიმე როგორი.

მიმოიხედე – ჩვენ გარშემო ჯოჯოხეთია.
და ამ ჯოჯოხეთის სიყვარული ცხოვრებას არქმევს.
გულს თითქოს ყველა შენი ნაკვთი მოუხვეტია
და გაქცევა აქვს განზრახული. მე ბევრს ვერ გეტყვი.
მე გიცქერი, როგორც ჩემს სათქმელს.

მექსიკური ჩინი

რვა ერთმანეთისთვის იარაღმიშვერილი
ახალგაზრდა მამაკაცი
გაშეშებული იდგა იმ ღამით გზაჯვარედინის კუთხეში.
შემთხვევის ადგილთან ახლომდებარე სახლის
რამდენიმე მცხოვრებმა
მეორე დილითვე ერთხმად აჩვენა,

* * *

ხალხი სიცარიელა.
შეუვალი სიცარიელე.
მე ხალხს ვუყურებ და გელოდები,
ერთ ყველაზე შეუვალ სიცარიელეთაგანს ვუყურებ
და შენს მოსვლას ველოდები,
როგორი მარტივიც არ უნდა ჩანდეს
ეს ჩემი საქმე ერთი შეხედვით.
მაგრამ შენ არ გამოხვალ ხალხიდან.
იგი თავისიდან შენი გამოწყვანი ვერ არის.
შენ წვიმიანი ღამის დახავსებულ თაღში გამოჩნდები,
რომელსაც ორი მოხუცი რაინდი ქარი უდარაჯებს,
ცეცხლის რგოლიდან გამოიღვრები,
როგორც დაღლილი ძუ ვეფხვი,
ღრმა ბნელი ნაპრალიდან ამოაბიჯებ
ჰაერს მონყურებულ ევრიდიკესავით,
და მე არასოდეს მოვიხედავ,
ოლონდ გვრძნობდე ზურგს უკან მაინც.

* * *

ვლადიმირ კოსტელმანს

მარტოობეო,
გამოდით თქვენ-თქვენი ჯადოსნური სახლებიდან
და საკუთარი ნაკვთები, კოჭები და ღიმილები
დაანახვეთ ერთმანეთს!
გამოდით თქვენ-თქვენი ჯადოსნური სახლებიდან
და მეც დამენახვეთ!
თქვენთან მოვედი.
მე ვარ მოსული იმისთვის,
რომ აღერსიანად გადამისვით თავზე ხელები
და მანუგეშოთ, რათა შემდეგ მშვიდად შევძლო
იქ დაბრუნება,
საიდანაც სიზმრებზეც კი შორსა ხართ თითქოს.
არხებო ჩემო, ზღაპრებს ირეკლავთ?
რომლებიც ვერა და ვერ მომიყვა ქვეყნად ვერავინ
და რომლებსაც საკუთარ თავს ძილისპირულად
ჩაეძახი ხოლმე,
თუ, რასაც ვხედავ, ანარეკლი სულაც არ არის?
სევდაო ჩემო,
თურმე როგორი ხარ შიგნიდან,
რა ფერებით მორთულხარ და რა სუნს ატარებ.
აქ მე წინათაც ნამყოფი ვარ, ასე მგონია,
მალალი სიცხით სანახევროდ ცნობადაკარგულს,
ბოდვისმაგვარი რალაცები როცა მქონია.
სახლებმორის სარეცხი უტკბესი სუდარებივით გაფენილა,

რომლებში გახვეულნიც
ადვილად აღწევენ ცხოვრებულ სამყოფლამდე.
ხოლო პირისპირ შეფეთებას ვინმე პარიკიან ბატონთან,
თავაზიანად რომ მოიხდის სამკუთხა ქუდს
და იტყვის ღიმილგადაფენილი:
„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება უდროობაში“, –
აღარაფერი არ აკლდეს ღამის...
ხომ მოგისწარი, ქალაქო წყალზე,
ხომ მოგისწარი!
და რატომ ვგრძნობ,
რომ სამუდამოდ დამავიანდა?

დაღამება. ტარასა

ბინდდება.
თითქოსდა ცისფერი ბენზინი
დამიდის ძარღვებში... მე ვნახე ლაგუნა,
რომელსაც ზღვათა აქვს დიდება.
განგებამ რატომღაც ოცნება შენზე მე
ამ ადგილიდანაც მარგუნა.

ხედებმა
აღმავსეს და იმდენს იზამენ,
რომ უნარს დაკვარგავ ალქმისას უბრალოდ.
ცხადი თან სიგიჟედ გედება,
თან, როგორც ყველაზე ნეტარი სიზმარი,
მოგიდის მისსავე მკურნალად.
ვზივარ, და
ტერასის მისტიკა მწველია.
ბინდბუნდის სიღრმიდან გამოჩანს სამრეკლო.
და აპოთეოზად ზიანთა
ვგრძნობ, რომ, თუმცა ჯერ ისევ ცოცხლებში ვწერივარ,
სიცოცხლე მე უკვე არ მეყო.

არც შენი
ლოგინი, არც შენი მუზობა
არ მრჩება. ნამგლიჯეს უცნობმა ეტლებმა.
მიაქვთ და ტოვებენ ნარჩენებს:
ვზივარ და სიჩუმის სულს მაჯას ვუზომავ.
ვზივარ, და ფრენაში მეთვლება.

დაბნელდა.
სუყველგან ბნელდება. აქაც კი.
თუმცა ღამის ღვთაებებს სულ სხვა რამ დაერთოთ
თვისებად არისთვის: დაბლიდან
ამოდის ჰაერით წყლის მძიმე ცახცახი.
ოლონდაც არ ისმის საერთოდ.



სალამოს მწვერვალი ხდები.
ხვდები, რომ არა გყავს დები.
ხვდები, რომ მაგ შენი კაბით
სალამოს მოჰყვები ღამედ.

შენსავე სამყოფელს შიგნით,
აღსავსეს მრავალი ჩიხით,
მრავალი სიმწარით აღვსილს,
ხიფათის შემცველს და ნავსის,

შრილად უცნობად მოხვალ,
სულაც რომ არაფერს მოჰყვა,
ცარიელ ქუჩაში სხარტად
გაირბენ უშავეს კატად,

დადგები სიჩუმედ... მე კი
თანდათან მეცემა მეხი.
ვერკვევი სულ უფრო ველარ
ღამეში, რომელიც შენ ხარ.

სომალი მკობრები

ზღვაში საკმაოდ სტაბილურად დაბინავებით
მოტორიანი ნავარდობენ მასზე ნავეებით
და მოსვენებას არ აძლევენ ზღვის გასასვლელს.
ზღვა კი მღელვარებს, და ლელვას მისი სარჩელი...
შავკანიანი ყმანვლები. ყველა – ნარჩევი.
მათი ყურება მდებარე ზვიგენებს წყალში ასვლებს.

მართალი ითქვას, დასჯა მართებთ მათ და კიდევაც
მოუხდებოდათ ქანდარებზე ჩამოკიდება,
რადგან ფულისთვის, სარგებლისთვის რას არ სჩადიან –
თავს ესხმებიან მოგზაურებს, აჰყავთ მძევლებად,
კლავენ, რაც უკვე არაფერში არ ეწერება, –
და იღვიძებენ ამ შრომისთვის დილაადრიან.

მეკობრეები სომალი... ბევრი რამაა
ამ ხმაში ცივი, აბსურდული, შორი, ამაო.
მათ არასოდეს უხმარიათ პენიცილინი
და თავის დღეში არ ჩაუცვამთ ტანზე პიჯაკი.
მათ უყვართ ცხელი შერის ფაფა მწარე წინაკით.
და რომის ნაცვლად ნავთობს სვამენ მზეზე ისინი.

ჰგუობენ, რასაც ასე წელი ვერ მიეწვევი –
ათასგვარ შანკრებს, ჰეპატიტებს, – და მიიჩნევენ,
რომ ამრუდებენ სამარეებს კუზიანები.
აქუცმაცებენ სიგარეტის დაცლილ კოლოფებს
და მდებარე ზვიგენებს, ღამის ზღვიდან თავამოყოფილს,
თავიანთ დარდებს და ოცნებებს უზიარებენ.

კაცმა არ იცის, რეალურად რა ამოძრავებთ.
იქნებ, გართულებს ძარცვა-გლეჯით და გამოძალით,
მათ ბრმად სხვა რამ სურთ,
ჯახირობენ სულ სხვა რამისთვის:
რომ იქცნენ წიგნად და ის იყოს საინტერესო.
იქნებ მხსნელივით მოელან ახალ სტივენსონს
და ეს თვითონაც არ იციან. კაცმა არ იცის.

რომ საკმაო ხანს რაღაცა შელაპარაკებისმაგვარი
მოესმოდა ქუჩიდან,
თუმცა სროლის მსგავსიც კი არაფერი გაუგია.
და მართლაც, პისტოლეტებში სავაზნე კოლოფები
სავსე იყო,
თანაც არანაირი სხეულის დაზიანება,
არანაირი ჭრილობა –
არც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული,
არც ცივით –
არც ერთ ცხედართაგანს არ აღმოაჩნდა.

კრიმინალისტების მიერ გადაღებული
ფოტომასალა მოწმობდა,
რომ მამაკაცები მეგობრულად ულიოდნენ ერთმანეთს,
რაც რაღაცნაირად სახეების
ანაბეჭდებითაც დადასტურდა.
მაგრამ ეს გარემოება გამოძიების ჰაერში დაეკიდა
და ოქმს ერთი ახალი პნკარითაც ვერ შეენია თავის იქით.
გაკვეთებით ვერაფერი გაირკვა:
ექიმმა-ექსპერტმა ბავშვივით გაასავესავა ხელები
და იატაკს დაშტერებულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ
მიმართა გამომძიებელს:
„ფეხზე დგომას როგორღა აგრძელებდნენ...
ან ერთხელაც უნდა დავრწმუნდეთ
გამოცანის პირობების სისწორეში,
ან, რაღა დასამალია, მისტიკა“.

გაზეთებმა ჯერ კიდევ გაკვეთების ჩატარებამდე
მოასწრეს აჭრელება.
სათაურები ელვის სისწრაფით
ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს.
შემდეგ ტელევიზორით ქალაქის პროკურორი გამოვიდა
და განაცხადა,

რომ, მართალია, გამოძიებას არავითარი
ხელმოსაჭიდი არა აქვს
და, აქედან გამომდინარე, ჯერ არავინ არაფერი არ იცის,
მაგრამ ის, ქალაქის მთავარი პროკურორი,
მაინც, რაღაც არ უნდა დაუჯდეს,
გახსნის ამ ბნელით მოცულ საქმეს,
რომ სასწორზე მთელი მისი უწყების ღირსებაა
და რომ მას, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ,
უბრალოდ უკვე ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს.

შემდეგ გადიოდა კვირები და ხმა დაირხა,
რომ ამ ამბავს უხცოვლანეტელთა ხელი ატყვია,
ვინაიდან რაღა საფიქრებელი, თუ არა
მათი მორიგი გამოხდომა.
მით უმეტეს, არავისთვის აღარ ნარმოადგენს
საიდუმლოს,
რომ ისინი უკვე არა ერთხელ და არა ორჯერ
სტუმრებიან მინას.
შემდეგ თვე თვეს მიჰყვა და წელიწადი წელიწადს.
და ახლაც მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის
თქმა შეიძლება:
რვა ერთმანეთისთვის იარაღმიშვერილი
ახალგაზრდა მამაკაცი
გაშეშებული იდგა იმ ღამით გზაჯვარედინის კუთხეში.

* * *
სალამო იწყებს და იგებს.
მელნისფრად გიღებავს ფიქრებს.
გიღობავს სამყაროს. და შენ
ლილითის თვისებებს აჩენ.



„რამდენიმე წლის წინათ გამოვაქვეყნე უჩვეულოდ დასამახსოვრებელი, დაუვინყარი, უსიამოვნოდ ყბადაღებული და სრულიად წარუმატებელი მოკლე მოთხრობა ერთ „ნიჭიერ“ პატარა ბიჭზე, რომელიც ტრანსატლანტიკური ლაინერთი მოგზაურობს...“ ასე აფასებს სელინჯერი თავის მოთხრობას „ტედის“ და ჩვენც უნებლიეთ გაცდებოდა გვიპყრობს. მართლაც, როგორ შეიძლება ნანარმოები ერთდროულად იყოს დასამახსოვრებელიც და უსიამოვნოდ ყბადაღებულიც, დაუვინყარიც და წარუმატებელიც? თუმცა, მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ ვხვდებით, რომ მწერალი გარკვეული თვალსაზრისით მართალი იყო, მან ნამდვილად ობიექტურად შეაფასა საკუთარი ნანარმოები...


„ტედი“ მეცხრეა სელინჯერის წიგნში „ცხრა მოთხრობა“, ამიტომ მას მსოფლმხედველობრივად შემაჯამებელი ფუნქციაც კი ეკისრება. მასში უფრო დეტალურადაა დამუშავებული ის თემები, რომლებიც „ბანანათევზას ამინდშიც“ გვხვდება. ამ თვალსაზრისით ის კრავს ცხრავე მოთხრობას, აკავშირებს რიგით პირველს — მეცხრესთან. „ტედი“ იმ მხატვრულ ნანარმოებებს მიეკუთვნება, რომელიც სულ ცოტა ორჯერ მაინც უნდა წაიკითხო, რადგან პირველი ნაკითხვისას რაღაც უკმარისობისა და გაურკვევლობის მსგავსი გრძნობა გვეუფლება. პირველ ჯერზე მკითხველი, ალბათ, ვერც შენიშნავს, თუ რა დატვირთვა ენიჭება ტედის კომენტარს ზედა გემბანიდან გადაგდებულ ფორთოხლის ქერქებზე, ოკეანის წყალში რომ ტივტივებს, შემდეგ კი იძირება. რატომ ამბობს: როცა ჩაიძირება, ჩემს ცნობიერებაში მაინც განაგრძობს არსებობასო. მოგვიანებით კი რად იმეორებს მსგავს ფრაზას, ოღონდ ახლა უკვე საკუთარ თავთან დაკავშირებით: როცა ამ კაიუტიდან გავალ, მხოლოდ ჩემი ნაცნობების მეხსიერებაში განვაგრძობ არსებობასო. რატომ ადარებს ტედი ოკეანეში ჩაძირულ ფორთოხლის ქერქებს საკუთარ თავს? ნუთუ ისიც უნდა გაქვრეს? ან ვინ არის საერთოდ ეს ფილოსოფოსი ბიჭუნა?

ტედი მაკარდლი ზებუნებრივი შესაძლებლობების ათი წლის ბავშვია, რომელიც ევროპული მოგზაურობიდან გემით ბრუნდება ამერიკაში, თავის დედამამასა და ექვსი წლის დასთან ერთად. ამ პატარა გამხდარ ბიჭს, ლერწამივით წვრილი კისერი და ოდნავ დიდი თავი რომ აქვს, მეცნიერები აკვირდებიან, ის ყურადღების ცენტრშია, მის საუბრებს ინერენ. იმავე გემზე იმყოფება ამერიკის უნივერსიტეტის პედაგოგი, ვინმე ნიკოლსონი, რომელსაც თურმე ბოსტონში ერთ-ერთ წვეულებაზე ტედის საუბრის ჩანაწერიც კი მოუსმენია. თუმცა მამამისი ვაჟის ზებუნებრივ ნიჭს ცოტა არ იყოს აგდებულად უყურებს, ის დასცინის ცოლსაც, რომელიც შვილის ამ ნიჭის სახალხოდ წარმოჩენის მომხრეა.

მოთხრობის პირველი სცენა მშობლებს კაიუტში ვითარდება. მამა დაჟინებით თხოვს ტედის თავისი ახალთახალი ტყავის ჩანთიდან ჩამოვიდეს, რომელზეც ის ფეხებით დგას. ამასობაში ირკვევა, რომ თურმე მამის ფოტოაპარატი „ლეიკა“ ტედის უმცროსი დისთვის უთხოველია. გაბრაზებულ მამას სურს თავისი აპარატი დაუყვინებლივ დაუბრუნონ. ტედი დედას ლოყაზე კოცნის, მამას მაგიდას ულაგებს, რომელზეც სიგარეტის ფერფლი და ნამწვავები ყრია და კაიუტიდან გადის. თუმცა, გასვლის წინ ის ამბობს გამოსამშვიდობებელ ფრაზას (რადგან იცის, რომ იმ დღეს უნდა მოკვდეს), როცა წავალ ჩემი ნაცნობების მეხსიერებაში განვაგრძობ არსებობასო.

მომდევნო სცენა საოკეანო ლაინერის საპორტულ გემბანზე ვითარდება. ტედი თავის უმცროს დას პოულობს, ფოტოაპარატს მხარზე კიდებს, კაიუტაში ისტუმრებს და აფრთხილებს, რომ ზუსტად თერთმეტის ნახევარზე ცურვის გაკვეთილზე იყოს. შემდეგ დასვენებისთვის განკუთვნილ გემბანზე ჩადის და შეზღოვნაში ჯდება, რომ დღიური შეავსოს. ტედი 1952 წლის 28 ოქტომბრის ჩანაწერს ასე ასრულებს: „ეს ან დღეს უნდა მოხდეს ან 1958 წლის 14 თებერვალს, როცა თექვსმეტის ვიქნები. სასაცილოც კია ამის აღნიშვნა“. უეცრად მის რვეულს ჩრდილი დაეცა და ტედიც შეკრთა. მას თავს ამერიკელი პედაგოგი წამოდგომოდა. ნი-

თემურ გაბუნია



უჩვეულოდ დასამახსოვრებელი... და სრულიად წარუმატებელი

კოლსონი იმდენად ახლოს იდგა ტედისთან, რომ, სავარაუდოდ, უნდა წაეკითხა კიდეც, თუ რას წერდა ბიჭუნა. მალე მათ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. როგორც გაირკვა, ტედი ოქსფორდისა და ედინბურგის უნივერსიტეტებში ყოფილა მინვეული, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მეცნიერები აკვირდებოდნენ. მოულოდნელად ტედი მოსაუბრეს ეკითხება, პოეტი ხომ არ ხართო, ხოლო როცა ნიკოლსონი უარყოფითად პასუხობს, მშვიდად განაგრძობს: „პოეტები თვით ამინდსაც კი პიროვნულ თვისებებს მიაწერენ. ისინი ემოციებით მუხტავენ ისეთ რაღაცეებს, რომლებსაც ემოციები საერთოდ არ გააჩნია“. ტედის არ ესმის, რატომ ანიჭებს ხალხი გრძნობებს ასეთ დიდ მნიშვნელობას. აი, მაგალითად, მამამისი გაზუფის კითხვისასაც კი ნერვიულობს. საერთოდ მის მშობლებს მიაჩნიათ, რომ ადამიანი ადამიანად არც კი შეიძლება ჩაითვალოს, თუკი ის რამეზე არ დარდობს ან არ ბრაზდება. „ნუთუ შენ ემოციები საერთოდ არ გააჩნია?“ — უკვირს ნიკოლსონს, მერე კი ეკითხება, უყვარს თუ არა ღმერთი. ტედი პასუხობს, რომ მას ღმერთი უყვარს, ოღონდ არა სენტიმენტალურად, რადგან ასეთი სიყვარული ცვალებადია და არამყარია... თურმე ბიჭუნას თავისებური შეხედულებები აქვს მშობლებთან ურთიერთობაზეც. მისი ბავთი, ისინი ცდებიან, როცა ცდილობენ ბავშვი შეცვალონ, რადგან



უმჯობესია ისეთი შეიყვარონ, როგორიცაა. საერთოდაც, ტედის აზრით, მამაშვილურ და დედაშვილურ სიყვარულს კარგად მიესადაგება სიტყვა „ნათესაური კავშირი“, რადგან ხშირად მშობლებს უყვართ არა თავად ბავშვები, არამედ ის მიზეზი, რის გამოც ისინი უნდა უყვარდეთ.

ცურვის გაკვეთილამდე ტედის ჯერ კიდევ ათიოდე წუთი აქვს დარჩენილი. ნიკოლსონი დროს არ კარგავს და კიდევ ერთ შეკითხვას უსვამს, ამჯერად უკვე სულთა გადასახლებების ვედანტურ თეორიაზე. როგორც ირკვევა, ტედის არათუ სჯერა ამ თეორიის, არამედ ახსოვს კიდევ, თუ ვინ იყო წინა ცხოვრებაში. მისთვის ვედანტა რაღაც განსაკუთრებული მოძღვრება კი არაა, არამედ მისი ცხოვრების ნაწილიც. თურმე მან გასხვივოსნების მსგავსი რამ ჯერ კიდევ ექვსი წლის ასაკში განიცადა. მაშინ ტედი უმცროს დას უყურებდა, რძეს

რომ სვამდა და უეცრად მიხვდა, რომ ღმერთი ყველგან იყო, მის დაშიც და რძეშიც. მას შემდეგ ის უკვე სულ სხვაგვარად აღიქვამდა სამყაროს.

— როგორც ჩანს, მედიტაციით შენ რაღაც ინფორმაცია მოიპოვე, რამაც დაგარწმუნა, რომ ბოლო ინკარნაციაში წმინდანი იყავი და ინდოეთში ცხოვრობდი? — ეკითხება ნიკოლსონი.

— მე წმინდანი არ ვყოფილვარ, — პასუხობს ტედი, — უბრალოდ ვიყავი ადამიანი, რომელიც სულიერად საკმაოდ კარგად პროგრესირებდა.

ტედის ახსოვს რამაც დააბრკოლა მისი სულიერი განვითარება, ინდოეთში ცხოვრებისას. ის შეხვდა ქალს, რომელმაც აცდუნა. შეუსრულებელი კარმის გამო დაისაჯა კიდევ. სწორედ ეს გახდა მისი შემდგომი ინკარნაციის მიზეზი ამერიკაში, სადაც, როგორც თავად ამბობს: „ძალზე რთულია სულიერი ცხოვრება, რადგან ხალხს შერეკილი ჰგონიხარ, თუკი ამას ცდილობ“. ტედი არათუ უცხოებს, საკუთარ მშობლებსაც კი შერეკილი ჰგონიათ (მამასაც და ნაწილობრივ დედასაც, რომელსაც ეშინია, ღმერთზე გამუდმებული ფიქრით ჯანმრთელობა არ შეერყას). და აი, ნიკოლსონს აცნობენ რაღაც სინთეზურ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომელიც ძალიან ჰგავს იმას, რაც თავის დროზე ამერიკაში დოქტორმა სუძუკიმ და ვივეკანანდამ იქადაგეს. ტედიც დაახლოებით მათი ენით საუბრობს:

— ლოგიკა უპირველესი რამაა, რაც თავიდან უნდა მოიშორო... იცი ის ვაშლი, ადამმა რომ შეჭამა ედემის ბაღში? — ამბობს ის.

ტედის აზრით, იმ ვაშლში ლოგიკა და ინტელექტუალური რაღაცები იყო დამალული და თუკი ადამიანს სურდა ჭეშმარიტებას ჩასწვდომოდა, სწორედ ის ვაშლი უნდა ამოერწყია. მაგრამ უბედურებაც ის გახლდათ, რომ ადამიანთა უმეტესობას ღმერთთან ყოფნას იმ აკრძალული ხილის ჭამა ერჩია, ეშმაკმა რომ შესთავაზა. ამდენი ვაშლის მჭამელი ერთად არასდროს მინახავსო, ამბობს ტედი. არც ამ ნააზრევშია რაიმე ახალი. სწორედ ლოგიკის „დამარცხებით“ ცდილობდნენ ძენის მიმდევრები ჯერ ინტუიციური, შემდეგ კი უკვე სულიერი ჭვრეტის საფეხურზე ასვლას. საამისოდ კი ისინი ხაკუინ ოსეს კოენს უღრმავდებოდნენ „ერთი ხელით შემოკრული ტაშის შესახებ“. საგულსხმოა, რომ სწორედ ეს კოენი აქვს ნამძღვარებული სელინჯერის ცხრა მოთხრობასაც.

დაიხ, ტედი თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური მსჯელობისას დაახლოებით იმასვე ამბობს, რასაც ქადაგებდნენ სუძუკი და ვივეკანანდა. აქედან გამომდინარე ის, რაც შემდგომში ტედიმ უნდა მოიმოქმედოს, ცოტათი უცნაურია და შესაძლოა, მიუღებელიც ტრადიციული ბუდიზმისა და ინდუიზმის მიმდევრები-

სთვის (რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა რელიგიებზე). მაინც რას აკეთებს ის?

ტედის, როგორც მოთხრობიდან ჩანს, წინასწარმეტყველური ნიჭიც გააჩნია. მთელ რიგ მეცნიერებს, მას რომ იკვლევდნენ, ბიჭუნამ უთხრა, როდის რა საფრთხე ელოდათ. გარდაცვალების თარიღების თქმაც კი შემძლო, უხსნის ნიკოლსონს ბიჭუნა, მაგრამ გულის სიღრმეში მეცნიერებს არც სურდათ ამის ცოდნა, ამიტომ თავი შეიკავა. „მიუხედავად იმისა, რომ რელიგიასა და ფილოსოფიას ასწავლიან, მათ მაინც ძალიან ეშინიათ სიკვდილის“, უკვირს ტედის. ბიჭუნას აზრით, ჭეშმარიტ მისტიკოსს არც უნდა ეშინოდეს ალსასრულის. ამის საილუსტრაციოდ მას ნიკოლსონთან საუბრის დასაწყისში იაპონური ლექსიდან ნაწყვეტიც კი მოყავს: „ვერავინ ვერ უნდა მიუხედავად მომღერალ ციკადას, თუ როდის აპირებს სიკვდილს“. ეს ლექსი მშვენივრად ესადაგება ტედის სულიერ მდგომარეობას. ვერც ბიჭუნას შეატყობს ვინმე საუბარში, რომ სულ რაღაც ათ წუთში უნდა მოკვდეს და რომ ეს თავადაც მშვენივრად უწყის. ტედიმ იცის, რომ როდესაც დანიშნულ დროს საცურაო აუზზე მივა, ის დაცლილი დახვდება. ბიჭუნა აუზში მიუსვით დადგება, ფსკერს რომ ჩახედოს. სწორედ მაშინ მიიბენს მასთან უმცროსი და, რომელსაც ტედი მაინცდამაინც თვალში არ მოსდის და ხელს კრავს. ასე დასრულდება მისი სიცოცხლე. ამრიგად, მან ეს ყველაფერი იცის და მაინც არაფერი აკეთებს საიმისოდ, რომ რაიმე შეცვალოს.

ტედისა და ნიკოლსონის საუბარი მოულოდნელად წყდება, რადგან ბიჭუნას თერთმეტის ნახევარზე ცურვის გაკვეთილი აქვს. რამდენიმე წუთის შემდეგ საცურაო აუზზე მისულ ამერიკელ პედაგოგს ყურში პატარა გოგოს საშინელი კვილი ჩაესმის, რაც იმის მომასწავებელია, რომ ტედის წინასწარმეტყველება ასრულდა...

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? რატომ არ დაიცვა თავი ტედიმ, თუკი ყველაფერი წინასწარ იცოდა? ან რატომ აქცია უმცროსი და მკვლელად? ის ხომ ძმის შემთხვევითი მკვლელობის გამო, სავარაუდოდ, მთელი ცხოვრება ტრავმირებული იქნებოდა? რას ამბობს ამის შესახებ „ვედანტა“? დააღწევდა კი ტედის-ნაირი ადამიანი თავს შობა-გარდაცვალების ციკლს? მოთხრობის მთავარი მიზანიც ხომ ბრაჰმასთან მიახლება და სიმშვიდის მოპოვება იყო? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ალბათ, უპირანი იქნება, კიდევ ერთხელ თუ გავიხსენებთ თავის სელინჯერის სიტყვებს: „რამოდენიმე წლის წინათ მე გამოვაქვეყნე უჩვეულოდ დასამახსოვრებელი, დაუვინყარი, უსიამოვნოდ ყბადაღებული და სრულიად წარუმატებელი მოკლე მოთხრობა ერთ „ნიჭიერ“ პატარა ბიჭზე, რომელიც ტრანსატლანტიკური ლაინერთი მოგზაურობას...“

რთულია არ დაეთანხმო სელინჯერს, მოთხრობა მართლაც დაუვინყარია, მაგრამ ამავე დროს წარუმატებელიც, რადგან შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ვინმეს ბრაჰმასთან მიახლება ისეთ მსხვერპლს მოითხოვდა, როგორც ათი წლის ბავშვის სიკვდილი და მისი ექვსი წლის დის მკვლელად ქცევა იყო. საგულსხმოა ისიც, რომ „ტედი“ სწორედ იმ პერიოდში დაინერა, როცა მწერალი დაინტერესებული იყო დოქტორ სუძუკისა და ვივეკანანდას მოძღვრებით. მწერალმა ცნობილი იაპონელი ძენის მქადაგებელი 1948 წელს გაიცნო. მას შემდეგ ის განუწყვეტლივ იცვლიდა მსოფლმხედველობას, ხან ძენის მიმდევარი იყო, ხან ინდუიზმის, ხან ტაოიზმის. ქრისტიანული საინტოლოგია, მაჰაიანა იოგა, ურინოთერაპია... აი, მოკლე სია იმ მოძღვრებებისა და მიმდინარეობებისა, რომლებთანაც სულიერად და მხატვრულად უკავშირდებოდა. შემთხვევით არ აღნიშნა მწერლის ქალიშვილმა, მარგარეტმა, თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში Dream Catcher, მაშაჩემს ლაპირი მაჰასაიას მოძღვრება რომ არ წაეკითხა, არც ჩემი მშობლები დაქორწინდებოდნენ და ალბათ, არც მე დავიბადებოდი. ამ ირონიულ გამონათქვამში, მართლაც, არის ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი და აი, რატომ — ტრადიციული ინდუიზმი არ გამოირიცხავდა შესაძლებლობას მეოჯახებე ზიარებოდა



მარიამ ნიკლაური

ვინც ჰპოვა, ნეტავი იმას,
 ვინც იერთმანეთა ტანჯვით.
 მორჩილად მოყვები შენსკენ
 ჩემსავე გაცრეცილ აჩრდილს.
 ვილევინ... და ვხედავ უკვე
 თავსაც რომ ვერაფრით ვყოფნი,
 რომელი მოძღვარი მე ვარ,
 სამყოფი რამ მქონდეს სოფლის...
 შენ უნდა მიკმარო ისევ,
 შენ უნდა მეძიო მარად,
 უხილველ გრძნობათა კარი
 ცროლივით* გამქრალა სანამ.
 თავად მეკიდება ალი
 სანთლად თუ ცის ცეცხლი მრისხავს?!.
 გიხმობ და მრცხვენია, ღმერთო,
 ასეთი შეშლილი დღისა.

ნატრულო

ბინდის ლურჯ რტოზე იძინებს
 ჩემი ფრთათეთრი პეპელა,
 მზეც ჩადის. ღრუბლის ბალებში
 ნითლის ფოთოლი ეპნევა.
 დარდის ქვაც ნელა მიგორავს,
 ხავსს არ იკიდებს სიპზედა,
 სანუთისოფლოს დღესავით
 ვკიდევარ სხივის წიკპზედა.
 გზებიც, ნამზერით დაღლილი
 ფრთად მოიკეცეს ნისლებმა.
 ნატრულო, დღესაც შენს ნაცვლად
 მწუხრის ყვავილი მისმენდა.

ღამეამაც იცის ძახილი

დაჭრილა ნათლის ირემი —
 დღე — სინათლისგან იცლება.
 გავა, გატოპავს ღამეში,
 ჩქამი შავ ჩქერზე მიწყდება.
 იმის ნაძოვზე მოდგება
 ბნელი და დაიბინადრებს.
 რა ქნას, ბრალია სიბნელეც,
 მასაც აქვს თავის სიმართლე.
 მასაც გული აქვს, უფეთქავს
 ათას ვარსკვლავად ცაზედა,
 ღამეამაც იცის ძახილი
 შემკრთალი ჩიტის ხმაზედა.
 მთვარის სხივზე რომ ჩადნება,
 ჩაიწურება სიზმრებად,
 მასაც თუ უჭირს საკუთარ
 თავში უფალის მიგნება?!
 ისიც თუ წვალობს, არა სურს
 საჩვენოდ დარდის გამხელა.
 ერთით მეტი მქნა, რო ღამის
 იქითაც გადამახედა...

იფხიზლე

იფხიზლე, ჩემო ანგელოზო,
 ჩემს უძღურებას განერიდე!
 ველარ დაგიცავ, გავიხიდე
 შუა რწმენის და იჭვის.
 ჩემს ცეცხლზე ფრთები დაგენვება.
 თითქოს საჩვენოდ არც ელოცოთ,
 ჩვენი წამ-წუთიც განემოსოთ
 დამბადებულს და დედას.
 იფხიზლე, ჩემო ანგელოზო,
 უკეთეს ჟამებს არც ველოდოთ,
 დამშეულია სამეზობლო,
 განაცვალეებენ ლუკმას...
 დაშრეტილია სივრცეები,
 შემღვრეულია მჭვირვალეება.
 მარადისობის ბრწყინვალეებაც
 აღარ ჭრის თითქოს თვალეებს.
 შეხედე ჩემი სულის რადარს —
 სიცარიელე ახლოვდება.
 შავი ხვრელივით ალოდდება
 ჩვენს წილ სიყვარულს ტერფზე.
 ველარ დაგიცავ ლოცვა-მარხვით,
 ხომ ხედავ, ჩემო ანგელოზო,
 რომ ღვთის სახელით ხან ვხელოსნობ
 და ქვასა ვხეხავ შუბლით.
 მაგრამ უფალსაც მრწემი რწმენის
 უნდა, იხილოს ფეხისადგამა...
 სად გაგონილა ზვავის ზათქმა
 ხმა გამოიღოს სათნო?
 თვალი მიჭირავს საშოვარზე
 და დღევანდელი კვერცხით ვნაყრობ,
 არც სამშობლოსთვის სიკვდილს ვნატრობ,
 არც ქალწულების გვირგვინს.
 იფხიზლე, ჩემო ანგელოზო,
 ჭირს შენც მორჩილად არ გაუხდე,
 ეგებ შენ მაინც გადაურჩე,
 ამბის წამლება ამ დროს...
 თორემ ვინ მიხვდეს, რამ დაგვლია,
 ან სული ასე რამ დარკილა,
 ცოფიანებმა რად დაკბინა
 უხორცო სულის მოდგმა.
 თითქოს მამბერომ — მგელთბატონმა —
 ყველა ხვადს ერთად აუხსნა ყბა,
 ყველა კაცს ერთად აუჯანყა
 სამყარო — სახლეული...
 და თუ ოდესმე მაინც მიცნობ,
 სულ სხვა სივრცეთა ხელს გამიწვდი,
 იცოდე, ღმერთი არ გაგინყრეს,
 და არ დამბადო ისევ...

მრცხვენია

რომელი რუდაქი მე ვარ,
 ემირმა მომართვას ოქრო
 და ჩემი ნამღერი ლექსით
 ქარებმა უდაბნო მორთონ?!
 რომელი დერვიში მე ვარ,
 სახელად საიდი აბუ,

რომ ჩემი ნაფცქვენი კიტრის
 განღმერთობის გაძღვედეთ საბუთს?!
 თუმც მქონდა სამეფო დიდი,
 უთვლელი ფიქრით და აზრით.
 და ჩემი სამზერის სივრცეს
 ვერ ფრენდა ფასკუნჯიც, ასი.
 ვლელავდი ლანდისფერ ზღვებად
 სიცოცხლის სევდიან კარზე,
 ყანებად ვიპიდი ვარსკვლავს,
 ვწურავდი სინათლის გარსებს
 და მდინარეების ნაწნავს
 ვიშლიდი მთოვარის გულზე.
 ზეციურ მღვიძარე ქალაქს
 ვადგამდი ნისლიან ქუსლებს...
 ახლა კი ქარს ვიპი მხოლოდ
 და დროც სხვა სამართალს წირავს...
 რომელი მისანი მე ვარ,
 ეს გვალვა ვაქციო ნვიმად?
 სიძველის ძვალთ რომ წყალი
 ავძრა და დაგვინდეს თქემში,
 რომელი სალოსი მე ვარ,
 სინმინდედ განვიმქვრე ღმერთში?!
 რომელი მგოსანი მე ვარ,
 სამზღვარი გადავვლო რაშით?!
 ყელამდე ჩამხრჩვალ ვდგავარ
 ღმერთის და მოყვასის ვალში.
 საკუთარ მშვიდობის დღისთვის
 ფერნაცვალ ომებით ვიბრძვი.
 მერე რა, თუ დღემდე ვეძებ
 სათავეს ჟამინდელ სიბრძნის.



* ცროლის მთა - ხევსურთა წარმოდგენით, ცროლის მთაზე გადიოდა „დედამინის შუა სამანი“.



ღამგაღა, ღელი

ოდესღაც, მიწის ფესვიდან გავჩნდი, მზის ბორჯიდანაც გავჩნდი, ეტყობა. მათ შორის მდგარი ლურჯი უფსკრული ჩემი სულივით აღარ მეთმოზა. ამოვიბნკალე წყლის ფესვიდანაც, ბალახიდანაც გავჩნდი, ეტყობა. დაღლილი დედა, ვინ იცის, რომელ ღვთისგან ითხოვდა ჩემთვის შენდობას. ჰაერის სუროს გადავეხვიე სხივის კულულზე თოთო ვარსკვლავად. სივრცემ მანოვა ძუძუ, დედა რომ მარილს ფქვავედა და სკნელებს ართავდა. მგონი, თოვდა და სითეთრეც თოვლის საბრალო დედას ვეგონე შვილი. ახლაც ჩემს ნამყოფ სიზმრის აკვნებში ფიფქად დაფრინავს ბავშვობის ჩრჩილი. გავუჩნდი მთებში თეთრ ნისლის ჩრდილებს, ბურუსს გავუჩნდი მჭვირვალ წვიმებად. რომ არ ვტკენოდი ღამეს სინათლედ, განთიადმა მშვა სხივის მწირველად. ეტყობა, ცეცხლის ნეკნიდან გავჩნდი, და ჩემსავე ბედს ვგავდი, ეტყობა, ყვავილის ჩითში ვეწვინე ნიავს, ჩიტის ხმით ნამის ნანას მეტყოდა. მანანავებდა ჰაერში ქარი გადაზნექილი კენწეროდ ბალის. ვმწყევმსავდი ველზე ბებერ ფასკუნჯებს და ელვას ხელებს ვუშვერდი ბალდი. დედილო, ეგებ შენ მიმახვედრო, ასე მოსული როგორ ნავიდე, როგორ დავნიო დაბლა, მიწისკენ, ჩამოხუნძლული მწიფე ნამისხე? როგორ ვეზარდო სიხარულს ჩირთად, სიმშვიდეს როგორ ვეშვილო, დედი, ნუთუ ესაა სულ არჩევანი — უკვდავებაზე შეყრილი ფეტვი... საით გაფრინდნენ ის ფასკუნჯები, ან ელვამ საით უწია კიდეს? დედი, დამბადე, გთხოვ, ბედნიერი, სიცოცხლისათვის დამბადე კიდევ. გთხოვ, მაპოვნინო ის ნამიც, როცა ყველა ვჩნდებოდით პირველად ღმერთში და გულისფეთქვა ყრმა სიყვარულის ერთმანეთით გვეჭირა ხელში.

და ვთინდებით მერამდენად

ეს მერამდენე გათენებად მშობე, უფალო, მერამდენე სინათლის სხივს ხელი ჩაეჭიდე. გვითვლის ღმერთი რომ, როგორმე ლუკმა გვაკმაროს ღამისმთევლებს და ნათლის მორჩილებს.

არც ვებევრებით, არც საზრდელი ეცოტავება, მაგრამ სხვაა სადარდელი, ცისკარს რომ ერთვის, სასიკვდილოა ღამისა და სიზმრის ტარება, ცოცხლებს გვცნობს — ხელრთვით. დილის ბინდბუნდის აბლაბუდას დაკიდებული სიზმრის წვეთში არეკლილი თავისმართლება, სულს ამბობხად მოხეტია მზის ადიდება — ჩვენი პირველი თვალისგახელა. დაზნიქა ლორთქო სამამულე რქები ვენახმა. მზე მოჰქუხს და სითამამეს მტევნის, მოჩიტავს, უფალს სურდა მღვიძარება გადაენახა ღამისმთევლების, ნათლისმორჩილთა ჩვილებისათვის! და ვთენდებით მერამდენედ! რძე დგება ცაში... რძე დის მიწასაც... ჩვენ კი სიცოცხლის პური გვჭირდება... ვინ ამოგვზარდოს სამყაროში ობლის კვერებით?

ეგაბ, ვინ მაინც

გადავქექე ყველაფერი: მზე აქაა, მიწაც, ქარებიც... ყველა სიტყვა, ყველა აზრი ადგილზეა, სახე, ნილაბი, სათამაშო, ყველა ლუკმა, რაც მივირთვით ანდა ჩიტებს გადაუყარეთ, ყველა ხე, რომლის ჩრდილში მდგარა ჩვენი აკვანი, ყველა ხმა, რითაც გვიმღერდნენ და გვაშინებდნენ კიდევაც ღამით... ყველა წმინდანიც, ვის სახელშიც გვფუთინდნენ ხოლმე... მაგრამ რამდენი რამ დაკარგულა ჩვენივე ჩათვლით... უკვდავების ბალახი და სიმშვიდის პური, ღმერთის შიში, გულის კანონი, უხილავი სახლების გზები — უჯრედშორისი გალუფა დიდი სხეულის. ყველაფერი თავისთვის არის, არა სხვისთვის, არა ერთისთვის... აღარც დროა... ვინ წაილო? ვინ გაიყოლა? ეგებ მახსოვს რამე ბუნდოვნად, არასწორად და არც გვექონია... ან მესიზმრა, ან ვნატრობდი, მერე ასე დამამხსოვრდა:

თითქოს მქონდა... ეგებ ძველ წიგნში ჩავდე, სადმე წამის თეთრი ყავილები მარადისობის მოსაგონებლად... ღმერთო, ეგებ შენ მაინც გაქვს შენახული სადმე ჩვენი ორგინალები...

რა იძნება?!

სიღრმის ტბები ამომშრალა, ამომშრალა ზღვები... ჟამთა ნაჩლიქარში დრო დგას, დრო უფესვო ქართა. სივრცეებსაც დაუკეცავთ გაცრეცილი ფრთები, რა დაგვრჩება ჩვენ სათქმელად უკანასკნელ კართან? ან ვინ გვკითხავს, როგორ ვუძლებთ ზამბახების ამბოხს, როგორ ვუსმენთ ჩიტის ფრთებით ათრთოლებულ ჰაერს? მზის ნავალზეც ნითელ ბულით რეტი როგორ ესხმის ნათელს — უჩვენობის ქდემდე გადავსებულ ხაროს. ჩემი ცრემლიც ჩაიყოლებს სიყვარულის პეპლებს. ქარვასავით გააქვავებს მზეს — საშენოდ მოძღვნილს, როდის მოვა და მოდგება ახალ ჟამის მეტრფე, დაამშვიდებს უღმერთობით შეშლილებს და მიცვლილთ. თავს სად გინდა, გაეპარო ამ დღეების ძლევად?! ჩვენი შემხედვარე, მგონი, ღმერთიც ათეისტობს. უმეცრების უშრობელი მელნით ვინ დანერა აძრულ დროის გამართლებად ნეოკატეხიზმო?! აღარ იმყნობს იმედის ბნკალს მზის ზრო ხსოვნის რტოზე, თავიც მობეზრებია დროს — ამ უძველეს რელიქტს, რა იქნება, რომ სამყარო თავის თავსა ჰგავდეს — ღვთის ხელებზე აყვავებულ მინდვრად გადაფენილს. მე კი ვგავდე მამის სახლში დაბრუნებულ დეენილს, დაღლილს ძველი, უხსოვარი ბალის გადაბეღვით, დაღლილს მიმქრალ ნავლზე უფლის ჩადგმულ სულის ბერვით...



პირველი პოეტური კრებულის ავთენტურობა რომ ჩაითქვამდა და ეს იმედი გაუმტყუნდებოდა, მის უჩუბრად ჩავლას პირველ მსოფლიო ომს გადააბრალებდა: ჩემს მაგივრად ამ ომმა ააფეთქაო. იმ ზრიალგრილის ფონზე კი... ახლა... ვილასთის უნდა გადაებრალებინა, მეორე კრებულშიც თუ ვერ გაუმართლებდა განზრახვას ქვეყნიერების ამოყრავებისა?..

თუმცა რისი გადაბრალება, წამითაც აღარ იფიქრებდა, კვლავაც გადასაბრალებლად თუ გაუხდებოდა საქმე.

მთელი არსებით გადაშვებულყოფი არა ზოგადად პოეზიის საუფლოში, არამედ უშუალოდ მეორე კრებულის მომზადებაში, — ღვთიური შთაგონებითა და თავდაუზოგავი ჯაფით შობილი სტრიქონები სტრიქონებს ემატებოდა, ლექსი ლექსს, ხვავდებოდა ხელნაწერები და უკვე გამორჩევა უძნელდებოდა ხელნაწერთა გორებიდან.

გორებად დაზვიანული ხელნაწერები ყოველთვისაც სათავისმსაქმოდ იქნებოდა მისთვის, ლაბირინთით რომ ვერა და ვერაღარ გაეგნო გზა და შესაძლოა შედეგები კრებულებს მიღმა დარჩენოდა.

მოსკოვში ცოლთან ერთად ყოფნა ოდნავადაც ვერ გადაახვევინებდა დასახული მიზნიდან. ანკი რა გადახვევა — გვერდით მისი პოეზიის თავყვანისმცემელი და ერთი საუკეთესო მწვდომი და მცოდნე ეგულებოდა, არანაკლები მოუთმენლობით რომ მოელოდა იმგვარ აფეთქებას ქართულ სინამდვილეში, მხოლოდ ომი რომ გადაფარავდა, ან ისიც უკვე ვეღარ... — უკვე მზად მაქვს მეორე ნიგნი, რომელითაც ყალყზე დავაყენებ მთელ საქართველოს... მალე შეიტყობთ, თუ როგორ მეხივით დავიგრიალბო.

ესეც ფრანგ მოსკოვიდან ძმასთან მონერილი ბარათიდან, 1916 წლის 17 ნოემბრით რომ დათარიღებულია.

— ისეც ყველაფერი კარგად აგებდეთ! ესეც ფრანგ მოსკოვიდან ვახტანგ ჯავახიძის მხატვრულდოკუმენტური რომანიდან.

ყალყზე დავაყენებ მთელ საქართველოსო... თუ როგორ მეხივით დავიგრიალბო... და ყოველთვისაც ასე მოხდება, როდესაც ძალიც შეგნევს ქადილისა, რუსთველური სტრიქონისა არ იყოს.

სახელწოდება ჯერ კიდევ ვერ შეერჩია ამ განსაკუთრებული მოვლენისათვის.

კომპოზიციური მთლიანობა კი ჯერ-ჯერობით სულ სხვაგვარად განესაზღვრა, ნიგნი რომ გამოიცემოდა, მის პროლოგად ნავარაუდები ლექსი ბოლო ხანს შეიქმნებოდა და თეიმურაზ დოიაშვილს დეტექტიური ჩხერკაძიება დასჭირდებოდა მის ამოსაცნობად და დასადასტურებლად, ამ კრებულის იდეური და კომპოზიციური გამხსნელი თურმე ეს და მხოლოდ ეს ლექსი რომ

ყოფილა: „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“.

თუმცა მანამდე ჯერ ადრეა. ნიგნი ჯერაც გასამზადებელია.

საუკუნის კრებულის (ქართული საუკუნის) არ აპირებდა! მომზადება და გამოცემა მთლად ბუნებრივი კალაპოტით ვერ წარიმართებოდა: უმეტეს ნაწილს მოსკოვსა და პეტერბურგში დაწერდა და გამოცემითაც კინალამ მოსკოვში გამოცემდა, ან დროულად რომ ეპოვნა ქართული შტრიფტი იქაურ სტამბებში, ანდა ბედნიერი შემთხვევის წყალობით რომ მიაგნებდა ბოლოსდაბოლოს, მესტამბე... სომეხი არ აღმოჩენილიყო და უარით არ გამოეცემებინა.

— დაშნაკი იყო, თურმე, აქ, საქართველოში, თურმე, ომი იყო მენშევიკებსა და დაშნაკებს შორის.

საბოლოოდ ნიგნი თბილისში გამოიცემოდა.

გამოიცემოდა და მოაკლდებოდა ერთი შტრიხი იმ გარეგნული ეფექტისა, რაც გალაკტიონს განეზრახა:

ფრანგულ სახელწოდებასთან, ფრანგულ ეპიგრაფებთან, გამოცემის თარიღის რომაული ციფრებით აღნიშვნასა და ლექსების ასევე რომაულ ნუმერაციასთან ერთად ნიგნის უცხოეთში დაბეჭდვას მოულოდნელობის შთაბეჭდილება უფრო უნდა გაემძლიერებინა.

ამ ჩანაფიქრს ვახტანგ ჯავახიძე მიუხედავად და კრებულის მთელს თავგადასავალს, აღსავსეს დიდი მღელვარებით, დოკუმენტური ნოველის თემადაც აქცევდა: „არტისტული ყვავილები“ ინტეგრალურად.

ჯერ ისედაც — ქართული ეპოქალური ნიგნი კინალამ მოსკოვში იხილავდა მზის სინათლეს, და ამას კიდევ ვინ ჩივის — ოქტომბრის გადატრიალება და სამოქალაქო ომის ლაბირინთები ლამის განირავდა ამ ხელნაწერებს, რომელთა დრამატულ თავგადასავალსაც ვახტანგ ჯავახიძე დავით გურამიშვილის „დავითიანის“ ბედს შეადარებდა, მირიან ბატონიშვილი და მისი ამაღლება რომ წამოიღებდა მირგოროდიდან და მდინარე დონის გადმოლახვისას ძლივ-ძლივით გადაარჩინდნენ ამ დიდებულ ეპოსს გასაჭირში ჩავარდნილი ქართველები.

ისინიც იმავე უკრაინის მიწაწყალს გამოატარებდნენ.

იმავე იმიტომ, რომ გალაკტიონიც უხეფათოდ ვერ დაუბრუნდებოდა საქართველოს, მეუღლის მოხერხებით მატარებელზე შოვნით კი იშოვნდა ბილეთს, მაგრამ, რა გასაკვირია, მატარებელს, რომელიც გადავსებულყოფი გერმანელთა ტყვეობიდან თავდახსნილი ქართველი ჯარისკაცებით, ჩვეული მარშრუტი რომ შეეცვალა, თუმცა დიდად სახეიროდ ვერა — მაინც გერმანელთა მიერ ოკუპირებულ უკრაინის

როსტომ ჩხეიძე

გოთა — გოტია — გალაკტიონი

ბიოგრაფიული რომანიდან „კომიკოსი ტრაველიაში“ (გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა)

ქალაქ ნეჟინში აღმოჩნდებოდა, თანაც... ორმხრივი სროლის ცეცხლში.

განთიადია და მატარებელი გაჩერებულა სადგურის წინ და გალაკტიონი შეჰყურებს არა ლიცეუმს, არამედ ფანჯრებდაღწილ რკინიგზის სადგურს, უდაბნოდ მდგარსა და მიუსაფარს.

ლიცეუმს რატომ უნდა შეჰყურებდეს? შეუძლებელია გალაკტიონს არ გახსენებოდა, რომ ნეჟინის ლიცეუმი დაემთავრებინა ნიკოლაი გოგოლს. ვახტანგ ჯავახიძე დარწმუნებულია, ნამდვილად წამოაგონდებოდაო.

ახლა კი მატარებლის გასწვრივ მოჰქრის შეიარაღებული ცხენოსანი გაიდამაკი და გაიძახის: არ ჩამოხვიდეთ, ფეხი არ ჩამოგათ მატარებლიდან, ძირს ჩამოსვლა არავინ გაბედოსო.

ვრცელი ბაქანი მოკლულებითა და სისხლით გადავსებულია. მძიმედ დაჭრილები თითოთითოდ მიჰყავთ სადგურის შენობის კედელთან და ისინი იქ სხედან და ელიან ბედის განაჩენს.

იმ ღამით პარტიზანები მოულოდნელად დასხმოდნენ თავს სადგურს, აელოთ და შიგ გამაგრებულიყვნენ. გერმანელები და გაიდამაკები კი, რომელთაც დაეტოვებინათ აქაურობა, გამაგრებულიყვნენ სადგურის პირდაპირ, მოშორებით მდგარ საბარგო მატარებელში. პარტიზანები აქედან უშენდნენ, ისინი იქიდან პასუხობდნენ და ასე გაგრძელებულიყო ბრძოლა მთელ ღამეს.

ამჯერადაც ჩვეული პარტიზანული ტაქტიკა ყოფილიყო გამოყენებული: მოულოდნელი თავდასხმა და ძლიერი დაკრა... ვახტანგ ჯავახიძე მოკრებდა გალაკტიონის პირად ნერილებსა და ჩანაწერებს და აღადგენდა მერილებს თავგადასავალს იმ ერთადერთი პოეტისა საქართველოში, რომელსაც პირადად განეცადა რევოლუცია.

რაკილა მისთვის ასერიგად მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო გახლდათ პოეტი-რევოლუციონერის სახელის დაჩემება, ჩანაწერებსაც შესაფერისს ადგენდა, გამონაგონით უხვად შეფერადებულს. დოკუმენტურ ნოველაში კი არ არის გათიშული რეალური ამბები ფანტაზიით შეთხზულისაგან.

ანკი დაბეჯითებით, სრული უეჭველობით როგორ გინდა გათიშო?! მთავარი ისაა, რომ მართლა თავგამოდებული მონანილეა თუ არა გალაკტიონი მიტინგებისა და დემონსტრაციების, მართლა ავარდნილა თუ არა ბარიკადებზე და კრემლის კედელთან „ვინტოვკაც“ მოუმარჯვია თუ არა, დიდი ძვრების, მსოფლიო-ისტორიული მოვლენების შუაგულში კი აღმოჩენილა უნებურად და მის თავზეც გადადის ბოლშევიკური გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლი, და ის ხელნაწერი, რომლითაც მთელ საქართველოს უპირებდა ყალყზე დაყენებას, კინალამ მსხვერპლად შეენიერებოდა იმ ტრაგიკულ ამბებს.

თავისი ხელნაწერის თავგადასავალი გალაკტიონს იმ შტრიხით თუ შესაფერისი ეპილოგითაც უნდა შეეგოს, თუ როგორ გამოუცხადებდა უნდად ბოლშევიკური მენშევიკური მთავრობა ოდესიდან ფოთში გემით დაბრუნებულს და ნაპირზე გადმოსვლის ნებას დიდხანს არ მისცემდა. ეს გაურკვევლობა რამდენიმე საათს გასტანდა, ბოლოს ნებასაც დაერთავდნენ და მოუბოდიშებდნენ კიდევ.

მენშევიკური მთავრობაო... ეს კი ასეა, მენშევიკური ხელისუფლება განაგებდა იმუამად საქართველოს, ორ ძალად გასიმბოლოებულ სოციალ-დემოკრატიულად ერთ-ერთი ძალი, ვიდრე მეორე ძალი — ბოლშევიკი — ჩაენაცვლებოდა და ძალაუფლებასაც გადაიბარებდა: სამსლიანს... სამოცდაათი წლით, — მაგრამ ასეა თუ ისე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებულიყო, უკვე თავისუფლებამოგებული სახელმწიფო გვერქვა, აღიარებისაკენ მივისწრაფოდით და ეგებ კიდევაც გადა-

გვერჩინა სიმწრითა და ტანჯვით მოპოვებული, გარეგნულად კი ზეციდან ჩამოვარდნილი დამოუკიდებლობა — თუნდაც მენშევიკებისა და ნოე ყორდანისა მეთაურობით.

აღფრთოვანდებოდა ქართული მწერლობა 1176ლოვანი მონობის დასრულებითა და ეგვიპტური ტყვეობიდან თავდაღწევით. ვინ წარმოიდგენდა, რომ: ეფემერულით!.. ძლივდობით გამოვხსნილიყავით, ამას კი, გალაკტიონს, მაინცდამაინც მაშინ მოუხდებოდა ჩვენი „ეგვიპტის“ დედაქალაქში ყოფნაც და წიგნის აუცილებლად იქ გამოცემა.

ნეტა რა ღირსება უნდა შემატებოდა ამით მის პოეტურ კრებულს?!

გასაგებია — მოულოდნელობის ეფექტის გაძლიერება... მაგრამ წიგნს ისეთი შთაბეჭდილება უნდა მოჰყოლოდა თავისი მხატვრული სიმაღლის გამოისობით, ეს დეტალი განა რა ისეთი აუცილებელი იყო?!. თუ მაინცდამაინც — აგერ ფრანგული სახელწოდება, აგერ ფრანგული ეპიგრაფები, აგერ რომაული ნუმერაცია... დასავლურ წრეში მოქცევის, ქართული პოეტური ხაზის ევროპული რადიუსით გამართვას რაღა მოსკოვის დამატება (ითქვას უფრო ზუსტად და მკაფიოდ — ჩათხრა) სჭირდებოდა?!

აქ საქართველოში თურმე ომი იყო მენშევიკებსა და დაშნაკებს შორისო... თურმეო...

იმ სომეხი მესტამბისაგან შეიტყობდა ამ ომის ამბავს, და საერთოდაც ყურმოკვრით და სხვათა შორის თუ ეცოდნებოდა აქაური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. და... დიდად გულზეც არ ეკიდებოდა, თორემ საქართველოსომხეთის შორის საბრძოლო მოქმედებათა მონათვლა მენშევიკებისა და დაშნაკების ომად?!

თანაც, ეს „თურმე“...

გულზე დიდად რომ არ ეკიდებოდა, იმითაც გათვალსაზრისოდებოდა, რომ ნიგნი ვერსად იგრძნობთ, მისი ავტორი ახლახან სახელმწიფოებრიობადადგენილი ქვეყნის შვილი თუ არის... და ამ სახელმწიფოებრიობას დიდი საფრთხე თუ ემუქრება და სომხეთთან ომი ერთ-ერთი განსაცდელია საბედისწერო 25 თებერვლის წინ.

ცხადია, სულაც არ არის აუცილებელი, ეს განცდა დეკლარაციულად გამოთქმულიყო. დაე პირდაპირ არც არსად გახმინებულყო, მაგრამ გამჭვირვალე მინიშნებებითა და ქვეტექსტებით საჩინო უნდა ყოფილიყო მკითხველისათვის — ან მაშინვე, ან მოგვიანებით მაინც... —

სადღაც ხომ უნდა იჭრებოდეს დამოუკიდებელი საქართველოს სუნთქვა! რაც არ არის, არ არის... ან კი რას აღმოაჩენ, თუ ხელოვნურად რომ მიანერ!..

პოეტი სპილოს ძვლის კოშკში გამოკეტოდა. ის, რაც ეოცნებებოდა დამოუკიდებელი და ძლევამოსილი, გემოვნებისა და საზოგადოებრივი აზრის კანონმდებელი სახელმწიფოს — საფრანგეთის — შვილს გუსტავ ფლობერს, ეოცნებებოდა, მაგრამ მის აღუსრულებლად ჩავიდოდა სამარეში, აგერ ტყვეობიდან ძლივს გამოხსნილი და კვლავაც სახიფათო ქარტეხილებში მოყოლილი ქვეყნის შვილისათვის რეალობად ქცეულიყო.

და სწორედ სპილოს ძვლის კოშკიდან გამოიყურებოდა ყოფითი სინამდვილე ისე, როგორც გალაკტიონი ხედავდა.

თორემ აგერ „ოფორტი“: — რა სიჩუმეა! როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არ საამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამოჩნია... და ეს თოვლია ჩემი სამშობლო.

და აგერ „გემი დალანდი“, რომლითაც მოდიოდა სამშობლოსაკენ:

— და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა; მაგრამ სამშობლოს ნაცნობ გზებით ვეღარ მოგაგენ და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მოგაგენდა? უსამშობლოობის განცდამ თოვლიც კი

შეიძლება მოგანდომებინოს სამშობლოდ. და თუ სამშობლოსათვის ნაცნობი გზებით ვეღარ მოგიგნია, თავს იმით ინუგეშებ, რომ კი არც გქონია, არამედ — მოგაგონდა.

ხოლო თუ ლექსში „დაბრუნება“ თამარის ტაძრებიც მოიხსენიებოდა და ირაკლის ძელებიც, და ტოპონიმებიც და ტაძართა სახელებიც ჩამოითვლებოდა, ფინალში კი „დაბინდული ქლიავის ფერიც“ შემოცურდებოდა, რათა სამშობლო მთების განცდა ინტიმურობით განმსჭვალულიყო, ეს ის ნოსტალგიაა, რომელსაც ვერაფერს გადარჩენია, ოღონდ ეს შეგრძნება მაშინაც გაუჩნდებოდა შინადაბრუნებულს, საქართველო ჯერაც რუსეთის იმპერიის სამხრეთ პროვინცია რომ ყოფილიყო!..

იყო შარლ ბოდლერი... და გალაკტიონის წიგნის საერთო სათაურად „ბოროტების ყვავილების“ თავისებური გამოძახილი რომ შეირჩეოდა, ბოდლერიული მოტივები და რემინისცენციები ამიტომაც გაიზნეოდა ასე უხვად მის ქსოვილში, ხოლო პროლოგად განიზრახებოდა ფრანგი პოეტის პროლოგთან შინაგანად დაკავშირებული ტექსტი „სიბერე“, რომელიც ნამდვილად გამოდგება საამისოდ, რაკილა „ძველი რითმების ღალატზე“ ჩამოაგდებს სიტყვას.

მაგრამ 1917 წლიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები სულ სხვაგვარად რომ დატრიალდებოდა?

წიგნის გამოცემა გადაიდებოდა და, ცხადია, მზის სინათლეზე მისი ამოსვლისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ახალი რეალობა.

და გალაკტიონსაც აუცილებლად უნდა გაემყდარებინა საკუთარი პოზიცია.

მოკავშირედ ბოდლერი უკვე აღარ კმაროდა.

არადა, მოკავშირე ძალიან და ძალიან სჭირდებოდა, თანაც ისეთი, ბოდლერთან მისასველები გზებიც რომ არ ჩახერგვოდა.

და თემურაზ დოიაშვილი საგანგებოდ რომ ჩაუკვირდებოდა მეორე კრებულის შინაგანი ფერისცვალების გარემოებებს, თავის დეტექტიურ ცდამი ძალდაუტანებლად ამოზიდავდა ტეოფილ გოტიეს სახეებს იმ უმთავრესი მოტივით, რომ:

— გოტიე ხომ რევოლუციის დროსაც დარჩა პოეტად და მხოლოდ პოეტად.

ასე ჩამოაშორებდა დიდი გარდატეხა, ეპოქის სული „სიბერეს“ პროლოგის დანიშნულებას და გადააბარებდა იმ ლექსს — „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ — რომელსაც გალაკტიონი 1917 წლით დაათარიღებდა, მაგრამ პირველად დაიბეჭდებოდა თუ არა ჟურნალის „თოლახისის სარტყელი“ ფურცლებზე (1919, 1), უკვე მაშინვე გამოთქვამდნენ ეჭვს: თარიღად ნეტა რატომაა აღნიშნული 1917 წელი, როდესაც ლექსი უფრო ორიოდ თვისაა, ვიდრე ორიოდ წლისაო.

და თუმცა გალაკტიონოლოგიის დისციპლინის შემქმნელისათვის აუხსნელი დარჩებოდა, თუ რა საფუძველი ჰქონდა მაშინდელ რეცენზენტს დასაეჭვებლად (ანკი ვინლაა ამის დამდგენი?), თავის მხრივ სავესებით გიზიარებდა ამ დაეჭვებას: ჩემთვის ისაა ძნელი წარმოსადგენი, რომ 1917 წელს დაწერილი შედევრი გალაკტიონს ორი წლის შემდეგ გამოეცქვენიანო.

ასე შეიქმნებოდა ეს ლექსი საგანგებოდ პროლოგის დანიშნულებით უკვე გამზადებული კრებულისათვის.

მე არ მინახავს თუკეთის წინასიტყვაობაო, — ალტაცებულებიყო გალაკტიონი ტეოფილ გოტიეს პოეტური კრებულის „მინანქრები და კამეები“ დასაწყისით, და იმ „მოკვეთილ“, მშვენიერ სონეტს „პროზაულად რომ გადმოიღებდა ნიკოლაი გუმბოლის რუსული თარგმანის მიხედვით, ზოგიერთ ადგილს გახზავდა:

მსოფლიოს საერთო აღრევის ხანაში დასტოვა გიოტემ მეომართა ბანაკი და შექმნა „დასავლეთის დივანი“ — წიგნი-ოაზისა, სადაც მფეთქარებს ქნარო. ნიზამისათვის მან დაივიწყა რა შექსპირი, ცხოვრობდა შორეულ ქვეყანათა ოცნებით, და ხმოვანი რიტმით, როგორც ორგანი, მღეროდა ობლად მცხოვრები გუდუტის შესახებო. ისე როგორც გიოტემ მიაშურა ვეიმარის ტახტს ცხოვრების პროზისაგან, რათა შეეყვარებინა პაფეზის ვარდები... მეც მივეცი რა ნება წვიმასა და სიბნელეს

უფრო ძლიერ ემღერათ ჩემს ფანჯარასთან — ვმღეროდი მე ჩემს „მინანქრებსა და კამეებს“.

წინასიტყვაობა წინასიტყვაობად და მთელ კრებულსაც თეთრი, მაღალი, ნამდვილი თლილი სტილით აგებულად მოიხსენიებდა, რომლისეულ ცოდნასაც სილამაზისა მხოლოდ მასავით ელასტიური შემოქმედების მქონე პოეტი თუ გაიგებდა.

— მე, სხვა ანკი ვინო, — გაივლებდა გუნებაში და ქვეტექსტურადაც მკაფიოდ მიაინიშნებდა ამ სულიერ თანაზიარობას, რათა ზეცამდე რომ აზიდავდა მის სახეებს:

— რამდენი სულიერი ენერგია უნდა ჰქონოდა ადამიანს, რევოლუციისა და ნგრევის ხანაში ამნაირად ემღერა.

კვლავაც საკუთარ თავს იგულისხმებდა მის სულიერ ჩამომავლად და „თავის ქალას არტისტული ყვავილებით“ უშუალოდ შეუწონიდა „მინანქრებსა და კამეებს“... და საერთოდაც, გოტიეს შეფასება თვითდახასიათებლად გადაექცეოდა. ვერ ვიტყვით, რომ უნებურად:

— ეს არისტოკრატიზმია. იმას, ვისაც უცებ ნააქცევს რევოლუციის ტალღები და მიყვება ამ ქაფიან მორევს, ვერასდროს ვერ იმღერებს ისე, როგორც გოტიე მღეროდა. ეს პოეტი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რამდენად გამორკვეული სახის მქონე პოეტი რევოლუციის დროსაც კი რჩება დიდ პოეტად. პირიქით, ეს საშუალებას აძლევს მას უფრო მაგრად ჩაეკეტოს კარები, რომ უფრო მძლავრად მიეცეს თავის საყვარელ პოეზიას...

და შედარებისათვის დასავლელ და ქართველ პოეტებს შეუთანადებდა ერთმანეთს, რათა უფრო ცხადივც წარმოეჩინა მოვალეობის შეგნება ზოგადად და მოვალეობის შეგნება პირადად თავისი, რაკილა დიდი მისია დაჰკისრებოდა, მისია ქართული პოეტური სამეფოს გარდასახვისა და დასავლური კულტურული არეალის შუაგულში გადატანისა.

გოტიეს ეს პოეტური კრებული შექმნილიყო განდევნილობაში.

გოეთეს „დასავლურ-ალმოსავლური დივანიც“ ასეთივე ხანაში შექმნილიყო.

საქართველოს ისტორიას არ ახსოვდა ისეთი ბოლოქარი ომებისა და მოუსვენრობის ხანა, როგორც იყო თამარ მეფის დროს, და XII საუკუნეში მოვახსრებეთ „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა.

ჩვენს პოეტებს სიზმრადაც არ მოეღიზნებოდათ დავით გურამიშვილის ეპოქა.

და საფრანგეთის ნამდვილი ხელოვნება წარმოშობილიყო სწორედ ასეთ ხანაში: გოტიე, ბოდლერი, ვერლენი, რემბო, ლაფორგი. და რაკილა ისინი ირონიულად უყურებდნენ პროლეტარულ კულტურას, ამიტომაც დარჩენილიყვნენ მხოლოდ პოეტებად.

პროლეტარული კულტურა მისი სამზერიდანაც ასევე გამოიყოფოდა, როგორც ამ დიდი ხუთეულისა. მარტოდენ ირონიას თუ გაიმეტებდა მასობრივი კულტურის მიმართ თავის სპილოს ძვლის კოშკში შეკეტული.

მაგრამ... მოუწერევენ იმ კოშკის კარს და მთლად კოშკსაც თავზე დაამხოზდნენ.

აღარცსად თავშესაფარი, აღარცსად გასაქცევი!..

და თავის გადარჩენაც სათუო გაუხდებოდა, არამცთუ პოეზიის საუფლოს შენარჩუნება ხელშეუხებლად და შეუბლაღავად. თუმც მანამდე ჯერ აღეუა და გალაკტიონს გაეღებოდა ჰგონია, რომ მარტოდენ მის სიმარჯვესა და ნებისყოფაზე ჰკიდია რევოლუციის ტალღებსა და ქაფიან მორევს გამორიდება და ნამდვილ პოეტად დარჩენა.

და „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ ამ რწმენით ამიტომაც აღვსილა, როგორც თავისებური ლირიკული მანიფესტი.

მანიფესტს რა უგავს?.. თუკი სწორად წავიკითხავდით, სხვა სახელს ვერც დაეარქმევებოდა, და თემურაზ დოიაშვილი ნაზიფ-ნაბიჯ მიჰყვებოდა მის აზრობრივ განვითარებას სწორედ ამ მანიფესტური სულის გადმოსაშლელად.

ლირიკული გმირი ტოვებდა სასახლეს და ყვითელი ფოთლებით მოფენილ ბალს. მის სულიერ ყოფაზე მიგვაზიშნებდა პეიზაჟი და განსაკუთრებით რომანი, სადაც ისევებდა „შეშლილი სკვითელი“.



გაშიფრულიყო ეს ქარაგმა — დაუსახლებლად მინიშნებული რომანი აღმორჩნებოდა ფიოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, შეშლილი სკვითელი კი — ივანე კარამაზოვი, თავისი გამოგნებული — და ფრიდრიხ ნიცშეს მიერ გაზიარებული და ახალი ჟამის სიმბოლოდ გამოცხადებული — იდეით, რომ: ღმერთი მოკვდა.

ლირიკული გმირი ადვილად არ ნებდება რეალობის სრულ ამოყრავებას და წონასწორობის შესანარჩუნებლად მიაშურებს განდევნილ მამათა სავანეს, ეკლესიას, მაგრამ... ეს უკვე უღმერთოდ დარჩენილი, ყველასაგან მიტოვებული უფლის სახლია და მფარველობას ვეღარ გპირდება.

საკმეველის სულისა და სანთელთა ციმციმის ნაცვლად ღვთაებრივ სივრცეში შავი თოვლივით ეშვება ჭვარტლი და ბურუსი.

კამარას კი მაცხოვრის თვალებიდა შერჩენია, ხელთქმნილი თვალები, საიდანაც მკაცრი სასონარკვეთილება მოფონავს:

ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!

ღმერთი მოკვდა, მოკვდა ღმერთი!.. უპატრონო ეკლესიას კი ეშმაკები დაპატრონებია და აგერ ამ საზარელი შეგრძნების ხელშეხახები ხატი — ყვავებისაგან გადაშავებული სამრეკლოს ჯვარი, ხოლო ქარი, გრიგალი და ზარების გრგვინვა ანგრევს სამრეკლოს.

სასახლესა და ეკლესიას განრიდებულმა ლირიკულმა პერსონაჟმა მდუმარე საკანს უნდა მიაშუროს და... მღელვარე საგნებსა და უკუნლამეს ცეცხლის მფარველი გუგუნი შეენაცვლოს.

— ძნელი არაა, „მდუმარე საკანში“ გოეთესა და გოტიეს „ოთახის“ ანალოგი ამოვიცნოთ, „მფარველი ცეცხლი“ კი შემოქმედებით ცეცხლად გავიზაროთ. ამ კონტექსტში „უმანკო ჩასახება“ შემოქმედებით აქტს უკავშირდება — სულიწმინდის შთაგონებით მაღალი პოეზია იქმნება საამისოდ თითქოსდა ყოვლად შეუფერებელ გარემოში.

როგორც გოეთე გარიდებოდა ნაპოლეონის ზარბაზნებს, ხოლო გოტიე — ქუჩიდან შემოჭრილ ქარიშხალს, და დარაბებდამანულ ოთახში შეექმნათ დიადი წიგნები, ისევე გარიდებოდა გალაკტიონიც რევოლუციის გრიგალს და სენაკის მარტობაში შეექმნა „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“.

საგანგებო ყურადღება მიექცეოდა ლექსის ფინალურ სტროფში ნაგულისხმევ მნიშვნელოვან ალუზიას:

ერთგვარად მოიტანს ამ სახის ლოცვისთვის ზმანება მტკივანი: გაზელებს — მგოსანი სასახლის, ხელთათმანს — სასახლის მდივანი.

„გაზელებს“ და „ხელთათმანიც“ გოეთეზე მიაინიშნებდა — ერთი მის „დასავლურ-ალმოსავლურ დივანს“ იგულისხმებდა, მეორე — მის არისტოკრატიზმს. ალუზიას ფონიკაც მიგვანიშნებდა, ლექსის ბოლო სარიტმო სიტყვაში „მდივანი“ სრულხმოვნად რომ გამოისმოდა სიტყვა „დივანი“.

ადვილი ამოსაცნობია, ალუზია გოეთეზე — „სასახლის მგოსანი“ — უშუალოდ ამ პიროვნებასაც რომ გულისხმობდა და განზოგადებულ მინარსსაც იძენდა, ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს რომ გადაწვებოდა და, მათ შორის — თვითონ გალაკტიონსაც.

არ დაშვრებოდა სხვათა საქებრად, თუნდ უდიდესი სახელებისა, თვით მისი ლანდიც რომ არ გამოჭიატებულიყო სტრიქონებს შუა.

გალაკტიონია და... ასე გამოკვეთილიყო საგულისხმო პარალელი:

გოეთე-გოტიე-გალაკტიონი. „დასავლურ-ალმოსავლური დივანი“ — „მინანქრები და კამეები“ — „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“.

და გალაკტიონს უთუოდ ალაფრთოვანებდა ამ ლირიკული მანიფესტის ხვეულებში ჩათქმული აზრის ასეთნაირი გაცხადება:

— გოეთეს ჰიჯრა ალმოსავლეთისკენ და გოტიეს საეტაპო წიგნი თავ-თავის ეპოქაში ახალ პოეტურ ხანას იწყებდნენ. ასევე ახალ ხანას იწყებს გალაკტიონის ჰიჯრა დასავლეთისკენ. გალაკტიონი, ვუალირებულად, ქართულ პოეზიაში (და, ვინ იცის, იქნებ უფრო დიდი რადიუსითაც) იმავე მნიშვნელობას ანიჭებს „არტისტულ ყვავილებს“, რა მნიშვნელობაც ჰქონდა თავის დროზე გოეთესა და გოტიეს წიგნებს ნაციონალურ თუ ზოგადევროპულ კონტექსტში.

რიცხვთა სიმბოლიკით გალაკტიონის გატაცება რომ მოეხსენებოდა, დეტექტიური ცდის ავტორი იმასაც ივარაუდებდა: შესაძლოა გალაკტიონი რაღაც იდუმალ ნიშანს ხედავდა იმაში, რომ „არტისტული ყვავილები“ ზუსტად ასი წლისთავზე დაიბეჭდა გოეთეს „დივანის“ გამოცემიდანო.

... — გოტიეს წინასიტყვაობა. იდუმალი ნათესაობა, — ჩაენიშნა გალაკტიონს, და თუმც „იდუმალი ნათესაობა“ სათაურია გოტიეს იმ ლექსისა, „მინანქრებისა და კამეების“ წინათქმას რომ მოსდევს, თემურაზ დოიაშვილი თავისთვის დაიბეჯითებდა: მანინც რაოდენ მრავლისმეტყველია ეს ფრაზა ჩემი გამოკვეთის კონტექსტში.

ამ თვალსაზრისით ვიგულისხმობთ, რომ გალაკტიონის დაკარგულ ჩანაწერთა შორის ერთი ასეთი ფრაზაც უთუოდ გაიფიქრებდა:

— გოეთეს დივანი. იდუმალი ნათესაობა.

კოედი

ზაზა ბიბილაშვილი

„ესაა მდოგვის მარცვალი, რომელიც მინაში ჩათესვისას ყველა თესლზე უმცირესია ამ ქვეყნად. მაგრამ დათესვის შემდეგ ამოდის, ყველა მწვანეზე დიდი იზრდება და ისე ფართოდ შლის ტოტებს, რომ ცის ფრინველებს შეუძლიათ მის ტოტებში დაიბუდონ“ (მარკოზის სახარება, თავი 4).

„ირველივ ბარხანებია, ხორშაკი და ხანძარი.

ხელიკებს არ ჰყვარებიათ ხრიოკებში ხვანცალი!

წყლისა არც ღარებია, არც ჭები და... არც წყალი.

— როგორ მეხარებინა ჩემი მდოგვის მარცვალი?!“

— იმის გათვალისწინებით, რომ მკითხველი თქვენს ლიტერატურულ ბიოგრაფიას ნაკლებად იცნობს, უპირველესად, სწორედ ამ კუთხით წარსდევით მის წინაშე. როგორ მოხვედრით თანამედროვე ქართულ პოეზიაში, როდის „დაავადდით“ ლექსით?

— კალამს ჯერ კიდევ იმ ასაკში „მოვიკიდე“ ხელი, რომელსაც ჩემი მეხსიერების თვალის ველები სწვდება. 4-5 წლისა ვკითხულობდი და ვწერდი ზღაპრებს (უფრო სწორი იქნება თქმა, ზღაპრებს ვკითხულობდი და „ზღაპრებს“ ვწერდი). ამავე პერიოდს ეკუთვნის ჩემი პირველი „ლექსიც“. თუმცა — ეს უკვე მახსოვს — პროფილი კატეგორიულად რვა წლის ასაკში შევიცვალე: რაღაც შემოქმედებითი საღამო იმართებოდა და ზღაპრები უნდა წამეკითხა. წინა ღამეს დავჯექი, საბავშვო ლექსი დავწერე (მიაუ მიაუ ფისოზე), მეორე დღეს კი, ღონისძიებაზე, ორგანიზატორებთან შეუთანხმებლად, ზღაპრებს ისიც მივაყოლე. მერე გაგრძელდა და გაგრძელდა...

არ ვიცი, ეს როგორ ხდება. აშკარად ის შემთხვევაა, როცა სურვილი (და, ალბათ, უნარიც) ასწრებს სათქმელის გაჩენას. ფაქტია, რომ წერა-კითხვა თავის დროზე ისევე ბუნებრივად მივიღე, როგორც ჭამა, სიარული და მისთანანი. ამიტომ იყო, ალბათ, მერე კიდევ კარგა ხანს ყველაზე ბრიყვულ შეკითხვად რომ მიმჩნედა შეკითხვა: რატომ წერ?

— თქვენი პოეზია ძველისა და ახლის ერთგვარი ნაზავია. როცა პირველად წავიკითხე „ლექსი მოყმისა და სიყვარულისა“, „მტერო, მოჯარდი სახედარეჯით“, ეჭვიც კი შემეპარა, ნამდვილად თანამედროვე პოეტის ლექსებს ვკითხულობდი თუ არა. სამწუხაროდ, დღეს ასე აღარ წერენ, ყოველ შემთხვევაში, იშვიათად. ხალხური ლექსის სუნთქვა XXI საუკუნის ქართულ პოეზიაში თითქმის არ ისმის. ეს შეგნებულად არჩევანი იყო?

— ძნელი შესამჩნევია არ უნდა იყოს, რომ „ლექსი მოყმისა და სიყვარულისა“ ვეფხისა და მოყმის ლექსის ერთგვარი „რიმიქია“ა. უფრო სწორად და უფრო მეტიც: ჩემთან თემატიკა და პერსონაჟებია შეცვლილი, სტილისა და ენის თითქმის შენარჩუნებით. და ეს, რა თქმა უნდა, შეგნებული არჩევანი იყო.

რაღაც შეეხება „მტერო, მოჯარდისა“ და მსგავსი ესთეტიკა-სტილისტიკის სხვა

ლექსებს: ცნობისა თუ ობიექტურობისთვის დასაწყისშივე გეტყვით, რომ ისინი 15-20 წლის წინათ დაინერა. თემს, რაზეც მაშინ ნაკლებად ვფიქრობდი, ახლაც არ ჩავედიები. ფაქტია, რომ ამ ლექსების შექმნისას ასეთ გარსს ყველაზე ბუნე-



ბრივად ირგებდა ჩემი სათქმელი და განცდები, და ამას მკითხველიც („ცოცხალი“, ჩემს გვერდით მყოფი მკითხველი) ერთმნიშვნელოვნად მიდასტურებდა.

სხვათა შორის, ორიოდ წლის წინ ამ ლექსების „სიცოცხლის ხარისხის“ შესამოწმებლად ექსპერიმენტსაც მივმართე — პოპულარულ ლიტერატურულ საიტზე გამოვაქვეყნე. რეაქციამ დამიდასტურა, რომ კრებულში მათი შეტანა ღირდა.

არ ვიცი, რამდენად სამწუხაროა, დღეს მაინცდამაინც „ასე“ რომ არ წერენ. მთავარია, ტექსტს ეტყობოდა, საკუთარი სიცოცხლის თავად მაინც სჯერა და რომელიმე თეორიის თუ პრაქტიკული ტენდენციის თარგზე არ არის ხელოვნურად და უსილოდ აჩონჩხილი.

— თუ გიფიქრიათ, რა განაპირობებს, რა ქმნის ცალკეული ეპოქის ლიტერატურულ ენას და როგორ შეგიძლიათ ამ თვალსაზრისით დღევანდელი ვითარების დახასიათება?

— ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. შესაბამისად, ამომწურავი პასუხის გაცემა — თუ ეს, საერთოდ, შესაძლებელია — გამიჭირდება. თუმცა ახლა დავფიქრებდი და ერთ-ერთ პასუხს ან პასუხის ნაწილს ვი-

ეს პატარა ლექსი ზაზა ბიბილაშვილის შემოქმედების ერთგვარ გასაღებად შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილ და პოპულარულ ავტორთა კატეგორიას არ განეკუთვნება, მისი პოეზია ლექსის მცოდნეთა ყურადღებას დიდი ხანია იმსახურებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაფერი ზედაპირზე არ დევს და ლექსის ნაკითხვა ცოტადენ ფიქრსა და გონების დაძაბვას მოითხოვს.

ზაზა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში გასული საუკუნის 90 წლებში ყველანაირი ზედმეტი ხმაურის გარეშე გამოჩნდა. სხვების მსგავსად, იმდროინდელ პერიოდიკაში იბეჭდებოდა, მერე, დაახლოებით, 10 წლის წინ, პირველი კრებულიც გამოსცა. ერთი პერიოდი შემოქმედებითი პაუზა ჰქონდა, თუმცა წერის სურვილი თუ ჩვევა, როგორც თავად ამბობს, მოსვენებას არ აძლევდა და დაგროვილი სათქმელი ისევ ლექსებში პოულობდა გზას. მდოგვის მარცვალმა, რომლის აღმოცენებაც მისი შემოქმედებითი ცხოვრების რაღაც ეტაპზე საეჭვო გახდა (ყოველ შემთხვევაში, თავად ავტორისთვის რიტორიკულ შეკითხვაში აისახა), გარკვეული დროის შემდეგ ყლორტები გამოიღო და, მართალია, ჯერ ისე ფართოდ არ გაუშლია ტოტები, ცის ფრინველებმა მასზე დაბუდედა შეძლონ, თუმცა პოეზიის გურმანების წინაშე პოეტის სახელი კარგა ხანია დაიმკვიდრა. ამის დასტურია მეორე კრებული „ჩემი მდოგვის მარცვალი“, რომელიც ლიტერატურულ პრემია „საბაზეც“ იყო წარდგენილი.

ბოლო დროს პროზაშიც სცადა კალამი, თუმცა მის შემოქმედებით ნიშად მაინც პოეზია რჩება (ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით) და ჩვენი საუბარიც (უფრო სწორად, მიმონერა) ძირითადად ამ თემას ეხება.

პოეზია... შეიძლება, ეს იყოს გავლენა, მოდა — ის ან საიდანმე შემოიჭრება, ან ვინმე (თუ კოლექტიური ვინმე) განაპირობებს. თავისთავად ცუდი ან კარგი, ალბათ, არც ერთია და არც მეორე; ერთსაც გააჩნია და მეორესაც.

პროვოცირებული, ექსპერიმენტდომებული და ასე შემდეგ. მეტიც: უფრო გვიან ისიც აღმოვაჩინე, რომ რაღაცები დამიგროვდა...

ამასთან, გავიაზრე, რომ ამასობაში პირველი, თითქმის კუსტარულად გამოცემული კრებულის გამოსვლიდან ათი წელი გავიდა. ის წიგნი მკითხველთა მცირე ნაწილმა ნახა. გაჩნდა ახალი მკითხველიც, რომლისთვისაც ბეჭდურ თუ ინტერნეტსივრცეში გაბნეული ჩემი პუბლიკაციები მეტ-ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა.

მოკლედ, ისევ მართებულად მომეჩვენა, ყველაფერი ერთად შემეკრიბა, მერე კარგად გამეცხრილა და ახალი კრებული გამომეცა.

ისედაც, თუ წერ და ამას მხოლოდ „შენი თავისთვის“ ან „ერთი კონკრეტული ადამიანისთვის“ არ აკეთებ, წიგნი ათ წელიწადში ერთხელ მაინც საჭიროა.

არ ვიცი, ზემოთქმული უკვე გულისხმობს თუ არა, რომ თქვენს მიერ ნახსენები „სამსჯავროზე გატანის შეგრძნება“ არც ერთ შემთხვევაში მქონია.

— „ჩემი მდოგვის მარცვალი“ — ასე ჰქვია თქვენს მეორე და ჯერჯერობით ბოლო კრებულს, რომელიც 2009 წელს გამოიცა და მანამდე დაწერილის ერთგვარი შეჯამებაა. საიდან წამოვიდა ეს სახელწოდება?

— სათაურზე საკმაოდ ბევრი ვიფიქრე და ყველაზე შესაფერისად ეს მომეჩვენა.

სახარების მიხედვით (და ისედაც), მდოგვის დასათესად გამიზნული ამა თუ იმ მარცვლის ბედი იმაზე დამოკიდებულია, როგორი ნიადაგი შეხვდება. ის ან ხედიქცევა, ან მალევე ჩაიშლება არარაობაში. მდოგვის მარცვალი შეგიძლია მივიჩნიოთ, როგორც ღვთის სიტყვის, ისე თითოეული ჩვენგანის ბედის ალგორითა; ლირიკული წიგნი კი, ასეა თუ ისე, მაინც ავტორის თავგადასავალია. მდოგვის გემოც, ალბათ, გახსოვთ — მწარეა, ცხარეა, პროვოკაციული; ამასთან, გემრიელი, არომატული მაინც...

ყველაფერ ამას დავუმატოთ, რომ მაქვს ერთი პატარა ლექსი, რომელიც ასე მთავრდება: „როგორ მეხარებინა ჩემი მდოგვის მარცვალი?“

ასეთი არგუმენტების წარმოდგენის შემდეგ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სათაურების კონკურსში „ჩემი მდოგვის მარცვალმა“ ობიექტურად გაიმარჯვა.

— რადგან მკითხველი ვახსენეთ, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მკითხველის ფაქტორი და მისი შეფასება? გიფიქრიათ, ვისთვის წერთ თუ ამას თქვენთვის არა აქვს მნიშვნელობა?



— ადრევე შევამჩნიე და ახლაც მჯერა, რომ მკითხველი შემოქმედებითი ციკლის სრულფასოვანი რგოლია.

მჯერა ისიც, რომ ნამდვილ მწერალში უსათუოდ ცხოვრობს მკითხველიც, რომელიც ერთგვარი ანარეკლია მწერლის გარეთ მცხოვრები მკითხველისა, რომელსაც, ავტორისთვის ცნობიერად თუ მისგან გაუცნობიერებლად, მიემართება ნაწერი.

დღეს პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მკითხველთან ხიდჩატეხილობაა, ამ რგოლის მოწყვეტა, ამ შინაგანი მკითხველის უკმარისობა ან მცდარი ორიენტირია.

დასასრული მე-14 გვერდზე

„ალბათ, გახსოვთ მდოგვის გემო“



ლიტერატურული

გუგა კოტეტიშვილი

„ლიტერატურული გაზეთის“ 73-ე ნომერში მკითხველი გაცნო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებულებას „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — მწერალთა სახლის დებულების დამტკიცების“ თაობაზე, რომლის თანახმად მანაძის ქუჩის 13 ნომერში მდებარე ცნობილი ისტორიული შენობა, სადაც ათწლეულების მანძილზე მწერალთა კავშირი იყო განთავსებული, ახლა მწერალთა სახლად — თანამედროვე კულტურის კერად, მწერალთა თავშესაფრისა და მათი საქმიანობის ცენტრად გადაიქცევა და ღია იქნება ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლებისთვისაც. სახეცვლილი და მართვის თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული მწერალთა სახლის მიზნებისა და ამოცანების შესახებ მწერალთა სახლის დირექტორ-მენეჯერმა, ნატა ლომოურმა საზოგადოებას ჩვენი გაზეთის საშუალებით უკვე მოუთხრო.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას პროექტის მხატვრულ-არქიტექტურულ ნაწილზე შევაჩერებთ. ცნობილი ქართველი მენარმისა და მეცენატის, დავით სარაჯიშვილის მიერ გასული საუკუნის დასაწყისში აგებული სახლი თავისი არქიტექტურისა და დიზაინის თვალსაზრისით უნიკალურია. ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამ ძეგლზე ქალაქ თბილისის მერია და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ზრუნავენ. სარესტავრაციო და სარემონტო სამუშაოები ამ ორი უწყების ხელშეწყობით მიმდინარეობს. ამჯერად პროექტის მთავარ დიზაინერს, გუგა კოტეტიშვილს ვესაუბრებით.

— ბატონო გუგა, არაერთი წელია, რაც დიზაინის სფეროში მუშაობთ. თუმცა, რამდენადაც ვიცო, ამგვარი მასშტაბის პროექტს, როგორც მისი მოცულობის, ისე ისტორიული და არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, აქამდე არ შეჭიდებინართ. შესაბამისად, ალბათ პასუხისმგებლობაც დიდია.

— დავით სარაჯიშვილის სახლი მართლაც უნიკალურია. იგი იმთავითვე იქცევა და თანამედროვეთა ყურადღებას, რადგან მოდერნიზებული ნიშან-თვისებებით იყო გამორჩეული. მოგეხსენებათ, ქართველმა მენარმემ და მეცენატმა სახლის დასაპროექტებლად თავისი დროის საუკეთესო არქიტექტორები მოიწვია — ბერლინელი კარლ ცაარი და ორი თბილისელი სპეციალისტი, ალექსანდრე ოზეროვი და კორნელი ტატიშჩივი. ინტერიერის მოწყობა კი ილია მამაცაშვილს მიანდო. დღეს სარაჯიშვილის სახლის ქონება, ბალთა და ინვენტარით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მწერალთა სახლს გადაეცა. ჩვენი მიზანია, შენობას, მის ფასადსა და ინტერიერს პირვანდელი ხიბლი არ დაეკარგოს. პროექტზე გამოცდილი არქიტექტორ-რესტავრატორებისა და ხელოვნებათმცოდნეებისგან შემდგარი ჯგუფი მუშაობს.

ამჟამად სარესტავრაციო-სარემონტო სამუშაოები რა ეტაპზეა?


— თბილისის მერიის ხელშეწყობით სახლის ფასადი გაიწმინდა და განახლდა, ფანჯრებს, აივნებს პირვანდელი იერ-სახე დაუბრუნდა, შიდა კომუნიკაციები გამოიცვალა, გათბობის სისტემა დამონტაჟდა. სხვენი ნაწილობრივ გამაგრებულია, სასახლის პირველი სართულის ერთ ნაწილში სარესტავრაციო-სარემონტო სამუშაოები დასრულდა კიდევ. იმისთვის, რომ შენობა ფუნქციურად მთლიანად დაიტვირთოს, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

ახლა ასათვისებელი სივრცე გაცილებით დიდია, ვიდრე მაშინ, როცა შენობაში მწერალთა კავშირი იყო განთავსებული. ფართი სარდაფის ხარჯზე გაიზარდა. სარაჯიშვილის დროსაც იქაურობას სარდაფის დანიშნულება ჰქონდა, საბჭოთა პერიოდში კი მას საწყობად იყენებდნენ. მგონი, იქ სასადილოც ფუნქციონირებდა. ახლა აქ წიგნის საცავი, წიგნის მაღაზია, საგამოფენო დარბაზი და კაფე-რესტორანი მოეწყობა. სტილისტიკის თვალსაზრისით, მთელ ამ სივრცეს თანამედროვე დიზაინში ვაკეთებთ.

— სასახლის ფართი უკვე სრულად

განანილებულია?

— დიახ. როგორც იცით, სასახლე ორ-სართულიანია და მაღალი მანსარდითაა გადახურული. თითოეულ სართულს ფუნქციურად სხვადასხვა დატვირთვა ექნება. ეს ყველაფერი დიზაინსაც შესაბამისს ით-



ვს. რესტავრაცია, ძირითადად, უკეთდება პირველ სართულს (ანუ ბელეტაჟს), ასევე — მეორეს. დავით სარაჯიშვილის დროს და მაშინაც, როცა შენობაში მწერალთა კავშირი იყო განთავსებული, სწორედ ეს სივრცე გამოიყენებოდა. პირვანდელი სახით მისი აღდგენა, ცხადია, ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა.

ინტერიერის რესტავრაციისას რითი ხელმძღვანელობთ?

— მუშაობისას, ძირითადად, ვეყრდნობით ცნობილი ფოტოგრაფის, დიმიტრი ერმაკოვის ფოტომასალას, რომელიც 1905 წლით თარიღდება და სახლის ძველ იერს ასახავს. იქ ინახება სარაჯიშვილის დროინდელი ფოტოალბომი, რომელშიც კარგადაა აღბეჭდილი მთავარი შესასვლელი, აღმოსავლური ოთახი, სამუშაო კაბინეტი, სამზარეულო, სააბაზანო, სასადილო თუ მისაღები ოთახები. ეს ფოტოები ძალიან დაგვეხმარა იქაურობა პირვანდელი სახით წარმოგვედგინა. გაგვეგო, რა ავეჯით იყო განწყობილი ესა თუ ის ოთახი, როგორი განლაგება ჰქონდა. საბჭოთა წლებში სახლის ინტერიერი გარკვეულწილად შეიცვალა, შეიღება. რეკონსტრუქციის დროს იმდროინდელი ზოგიერთი შპალერი მოვსენით, კედლის მონახტულობაც გააუქმეთ.

— წლების განმავლობაში, პირვანდელი ავეჯიდან, ალბათ, ბევრი რამ დაიკარგა ან განადგურდა.



— როცა დიმიტრი ერმაკოვის ფოტოები შევისწავლეთ და მათზე აღბეჭდილი ავეჯი შევადარეთ იმას, რაც ადგილზე დაგვხვდა, სამწუხაროდ, აღმოვაჩინეთ, რომ სარაჯიშვილისეულ ავეჯს ძალიან ბევრი რამ აკლდა. შემდეგ რესტავრატორ-

ვედრები მწერლებთან, საავტორო საღამოები, პრეზენტაციები, მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული სემინარები, კონფერენციები.

ძალზე შთამბეჭდავია სარაჯიშვილისეული კაბინეტიც — დარბაზისგან სრულიად განსხვავებულ სტილში განწყობილი ოთახი. ვფიქრობ, იქაური არაჩვეულებრივი ავეჯი სპეციალური შეკვეთითაა დამზადებული, შესაძლებელია — თბილისშიც. ბუხარი, სკამები, მაგიდა მწვანე ფერის ქვით არის გამყენებული. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რა მასალაა, მაგრამ ქვა ძალიან ჰგავს დიაბაზს, ყაზბეგის რაიონში რომ მოიპოვება. ოთახს, ავეჯს რესტავრაცია უკვე ჩაუტარდა, კედლებისთვის საგანგებოდ შევარჩიეთ ნაჭრის შპალერიც.

საბჭოთა წლებში პირველმა სართულმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა. მაგალითად, მოიშალა კიბის უჯრედი, რომლის პირვანდელი სახით აღდგენას ვცდილობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულად არ ხერხდება. გვინდა, იმ ადგილს ძველებური იერი მიახლოებით მაინც დაუბრუნოთ.

იქვეა ძალიან ლამაზი სასადილო ოთახი ხის ქვითა და ხელით მოხატული შპალერით. ფანჯრები სასახლის ბაღს გადაჰყურებს. იმ სივრცეში, კომუნისტების დროს, ბიბლიოთეკა იყო განთავსებული. ოთახი რესტავრაციას დიდად არ საჭიროებს. გვინდა, მას პირვანდელი ფუნქცია დაუბრუნოთ. ის შესანიშნავი ადგილია პატივსაცემ სტუმართან შეხვედრისთვის ან მისთვის ვახშმის გასამართად.

მოზაიკის იატაკი აგია პირველი სართულის იმ ნაწილში, რომელიც ეზოში გადის. იატაკის ცენტრში საოცრად ლამაზი ორნამენტი. მისი მცირე ნაწილი დაზიანებული იყო და აღსადგენად ძველი და ცნობილი გერმანული ფირმის, „ვილერი და ბოხის“ მაღაზიას მივაკითხეთ, რომელიც თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარეობს. როცა ფირმის წარმომადგენლები მწერალთა სახლში მოვიდნენ, რათა პირადად გაცნობოდნენ პრობლემას, აღმოაჩინეს, რომ სარაჯიშვილისეული მოზაიკის იატაკი მათივე ფირმის დამზადებულია. ისიც გაირკვა, რომ მოზაიკის ანალოგიური მოდელი ამჟველებდა ისტორიული ხომალდის — „ტიტანიკის“ — იატაკსაც. ეს შენობა და „ტიტანიკი“ ხომ ერთმანეთის თანამედროვენი არიან. როგორც ჩანს, მაშინ მოდაში „ვილერი და ბოხის“ სწორედ ამგვარი მოდელი იყო.

დასასრული მე-14 გვერდზე



დიმიტრი ერმაკოვის ფოტოები. 1905 წელი.

ზაზა ბიბილაშვილი:

„ალბათ, გახსოვთ მღობვის გემო“

დასასრული

თუ თავისი არსით აუდიტორიისთვის გამიზნული საქმიანობა თავისი არსიდან აუდიტორიას ამოკვეთს, რომელიმე ავადმყოფობის (ვთქვათ, ნარცისიზმის) გამოვლინებად თუ დარჩება.

თუმცა ხდება ისეც, რომ როდისმე ასეთ სტრიქონს ჩაინიშნავ: „სათქმელი მაქვს, მაგრამ — არავისთვის“...

— ხშირად ამბობენ, რომ ავტორი ქმნის და აყალიბებს მკითხველს. თუ შეიძლება, რომ პირიქით მოხდეს და მკითხველმა შექმნას მისთვის სასურველი ავტორი?

— ზოგადად, გარემო მეტად მნიშვნელოვანია ავტორისთვის.

გენიოსი გენიოსია. მაგრამ შეიძლება, გენიოსი ისე გაჩნდეს და მოკვდეს, რომ გენიოსობის გამოვლენა (გნებავთ, სათანადო ასაკამდე მიღწევა) ვერ მოახერხოს.

იქნებ არ არის შემთხვევითი, რომ შოთა რუსთაველი ზუსტად მაშინ გვყავდა, როცა გვყავდა?

— XXI საუკუნემ მოიტანა ისეთი ტერმინები, როგორცაა „მუსიკის კეთება“, „სიყვარულის კეთება“, ხელოვანთა ნაწილისთვის ლექსის კეთებაც ამ რანგში გადის. ანუ — მე არ ვწერ ლექსებს, ლექ-

სი თვითონ მწერს“ — თანამედროვე პოეზიაში აღარ არის აქტუალური. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ჯერჯერობით მაინც მგონია, რომ ეს შეფასების, ან სულაც ტერმინოლოგიის საკითხია. შეიძლება, დღეს ავტორმა თქვას, ლექსი გავაკეთეო, და სწორედ ის იგულისხმოს, რასაც გულისხმობდა, ვინც ამბობდა, ლექსი მწერსო.

თუმცა ვინ იცის — და ამის გარკვეული ტენდენცია შეინიშნება — ტერმინმა ტერმინობა აღარ იკმაროს... ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ტერმინებზე თავიდან შეთანხმება მოგვიხდეს — მართლა გაკეთებულ ლექსს დაერქვას პოეზია, ლექსი-მწევერი კი წარსულის უბადრუკ გადმონაშთად მოინათლოს.

— „წელიწადი, როგორც ერთი დღე“ — ერთ-ერთი ლექსია თქვენი ბოლო კრებულიდან, რომელიც ორიგინალური ფორმის გამო პოეტურ დღიურად შეიძლება მოინათლოს. როგორ დაინერა ეს ოპუსი?

— ზუსტადაც პოეტური დღიურია და მეტი არაფერი. ეს ის პერიოდია (2000 წელი), როცა გავჩერდი. სამაგიეროდ, არ გაჩერებულა შეგრძნებები, ემოციები, სახეები. და მეც ვინიშნავდი მათ. მანამდე ასე-

თი ჩანანერების ნაწილი ლექსებად იქცეოდა ხოლმე. ამ შემთხვევაში მხოლოდ დაიხვეწა, შეიკრიბა. შედეგი რომ ვნახე, ლიტერატურა აღმოჩნდა. ასე შეიქმნა „წელიწადი, როგორც ერთი დღე“.

— ზოგადად, ლოგიკური არ არის ექვსო მიზეზები და შედეგები პოეზიაში, ის ხომ ნაკლებად ემორჩილება ლოგიკის კანონებს, მაგრამ მაინც გკითხავთ — როგორ იწერება თქვენი ლექსები — კონკრეტული მიზეზი, ფაქტი განაპირობებს თუ საკმარისია მხოლოდ განწყობა?

— მხატვრული ლიტერატურა, საბოლოო ჯამში, ადამიანების თავგადასავალია. ასე რომ, კონკრეტულმა ფაქტმა და მიზეზმაც შეიძლება მოიტანოს ის აზრი, სათქმელი თუ განწყობა, რომელიც ლექსის შექმნას განაპირობებს. თორემ ისე — რაღაც მოხდა და ამაზე ლექსი უნდა დავწერო — ეს მხოლოდ დამწყებებს ან გამიზნულად მოვარჯიშებებს ეპატიებათ.

— „დღიური ტირადაზე“ მინდა გვესაუბროთ. თანამედროვე ხელოვანისთვის „პოეტი, შეთავსებით მეკარტოვლი“ მეთავარსახურებელი ნამდვილად არ არის. რისი თქმა გასურდათ ამ ლექსით?

— ამ ლექსში ეგრეთ წოდებული სამოქალაქო პოეზიის ელემენტებიც დაინახეს; არ ვამბობ, უსაფუძვლოდ; თუმცა ეს დეტალი მაინც ბაზისია უფრო საზოგადო თემისა — (არ გაგეცინოთ) „პოეტი მიწაზე“.

ამასთან, არის ხოლმე დრო და ადგილი, როცა და სადაც ეს „მინა“ მეტისმეტად და აუტანლად მინაა. ასეთი დროით და ადგილით „ვისარგებლე“ ამ ლექსის დაწერი-სას.

ისე, მეტიც შემიძლია გითხრათ, ანუ უფრო გულწრფელი ვიყო: ამ ლექსში ბევრი რამის გამოგონება არ დამჭირვებია, რადგან, ზოგი ფილმის არ იყოს, ესეც რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული.

— და ბოლოს, ამჟამად როგორია თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში?

— უკვე კარგა ხანია, ვამბობ, რომ შეიძლება, მალე პროზაული კრებული გამოვიცე. ეს იქნება (თუ იქნება) მსუბუქი პროზა, ნაკრები იუმორისტული ან თითქმის იუმორისტული ნოველებისა, რომლებიც პერიოდულად უკვე იბეჭდება ლიტერატურულ პრესაში.

პროზის სამყაროში ჩახედვა ერთი სიამოვნებაა: დულს და გადმოდულს იდეები, თემები, სახეები, შესაძლებლობები... თუმცა არ ვიცი, ოდესმე ღრმად ჩაყვინთვას გავბედავ თუ არა; მით უმეტეს, იმაზე ლაპარაკი ძნელია, უკან რას ამოვიტან.

ლექსების წერას ვაგრძელებ. უკვე კარგად აღარ ვიცი, რატომ, მაგრამ გარწმუნებთ — ისევ პატიოსნად, მთელი ძალბით.

ესაუბრა ნანა კობახიძე

დასასრული

პირველ სართულზე, სადაც ძველი იერ-სახე უნდა აღდგეს, სველი წერტილის გაკეთება გადაწყვიტეთ. თუმცა პირვანდელ პროექტში ეს გათვალისწინებული არ იყო. „წელიწადი“ ფორმის ძვირადღირებული სანტექნიკა გამოვიწერეთ, საგანგებოდ შევარჩიეთ ძველებური მოდელები. ორ სველ წერტილს შორის გამანაწილებელი სივრცეა. იქ ხელსაბანი დამონტაჟდება. ამისთვის თევზისთავიან ფაიფურის ხელსაბანს მივადგინე. ანტიკვარია და პირველი სართულის ძველებურ სტილს შეესაბამება. სველი წერტილები, ცხადია, სარდაფსა და ზედა სართულებსაც ექნება. მხოლოდ იქ თანამედროვე დიზაინის სანტექნიკას დავამონტაჟებთ.

— როგორც ვიცი, მეორე სართულს საოფისე ფართები დაიკავებს.

— ადმინისტრაციული სართული იქნება. ამავე სართულზე, შენობის მლელვარე ისტორიისა და იმ მწერალთა მოსაგონებლად, საბჭოთა რეჟიმის მსხვეპლად რომ იქცნენ, ოთახი-მუზეუმის მოწყობა გვაქვს ჩაფიქრებული. იქ მუდმივმოქმედი ექსპოზიცია მოეწყობა, განსხვავებით სარდაფში არსებული საგამოფენო დარბაზისგან, სადაც თემები, ექსპოზიციები შეიკვლება ხოლმე.

— მანსარდასაც ახალი ფუნქციური დატვირთვა ექნება?

— იმ ადგილს მანსარდას ვერ დავარქმევ. დიდი, მაღალჭრიანი სივრცეა, სადაც ხუთნომრიანი სასტუმროს გაკეთებას ვგეგმავთ. როგორც დიზაინერს, მინდა, სასტუმროსთვის დამახასიათებელი „ცივი“ გარემოს ნაცვლად, სახლის

გუგა კოტეტიშვილი:

„უამრავი რამ აღმოვაჩინეთ“



სიმყუდროვის განწყობა შეექმნათ, რომ სტუმარმა, რომელიც იქ გაჩერდება, თავი შინ იგრძნოს, მითუფრო, რომ სასტუმრომ მწერლებს, ლიტერატორებს უნდა უმასპინძლოს. შესაძლოა, ზოგიერთმა მათგანმა რამდენიმე თვე დაჰყოს იქ. აქედან გამომდინარე, სასურველია, სამუშაო პირობებიც შესაბამისი ჰქონდეს. ცხადია, სასტუმროს დიზაინი სასახლის ესთეტიკას უნდა ეხამებოდეს და მისი ერთიანი იერ-სახიდან არ იყოს ამოვარდნილი. ვფიქრობ, ძველი სავარძლები დავდგათ, შესაბამისი ავეჯით გავანწყოთ. სტუმრებს სამზარეულოც თავისი ექნებათ, მისი გამოყენება ნებისმიერ დროს თავად შეიძლება. პროექტით მისაღები სივრცეც გათვალისწინებულია.


— სასახლის ეზოს გაფორმება როგორ გაქვთ ჩაფიქრებული?

— სარაჯიშვილის სახლს ულამაზესი, იშვიათი ფიშის ხეებით მდიდარი ბაღი ამშვენებდა. მეცენატმა ამისთვის უცხოეთიდანაც მოიწვია სპეციალისტები. ბაღის განახლება პროექტის ნაწილია. გვინდა, ეზოს ძველებური იერ-სახე დაფიქსირდეს, მოვიძიოთ და გავაშენოთ ის მცენარეები, სარაჯიშვილის დროს რომ იყო მოდაში. სასურველია, ბაღი წელიწადის ყველა დროს ყვაოდეს. აქ ღია რესტორნის გაკეთებასაც ვგეგმავთ, როგორც ეს უცხოეთის თანამედროვე მწერალთა სახლებშია მიღებული. მწერალთა სახლი, როგორც შინაარსით, ასე ფორმითაც — ტრადიციისა და თანამედროვეობის შერწყმის ნიმუში უნდა იყოს. ამისთვის ჯერ ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

ესაუბრა თამარ ჟურული



შენობის რესტავრირებული ნაწილი. 2012 წელი.



თემურ გაბუნია

უჩვეულოდ დასამახსოვრებელი... და სრულიად ნარუმატებელი

დასასრული

ბრაჰმას, პირიქით, ძველი ინდუისტი ვალდებულნი ვართ იყოთ გაველოთ ხი საფეხური: მოსწავლის, მეოჯახის, განდევნილის და მოხეტიალე ქურუმის. მართალია, ეს წესი თანდათანობით მოიშალა, მაგრამ ძირითადი პრინციპი მაინც უცვლელი დარჩა. ადამიანი თავისი ცხოვრების პირველ საფეხურზე ვალდებული იყო ესწავლა, შემდეგ — დაოჯახებულიყო, შვილები აღეზარდა, დაეზინავებინა და როცა დარწმუნდებოდა, რომ მათ მისი მზრუნველობა აღარ სჭირდებოდათ, ნება ეძლეოდა განდევნილად წასულიყო. განდევნილობა ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო კიდევ უფრო მაღალი საფეხურისთვის, მოხეტიალე ქურუმობისთვის. ინდუიზმში ქურუმი, რომელსაც არც სახლი ჰქონდა და არც კარი და ღმერთს მინდობილი მოგზაურობდა, უფალთან ყველაზე ახლოს მდგომ ადამიანად ითვლებოდა. ის ხდებოდა ბჰაქტი (სიყვარულისა და სათნოების) იოგას მიმდევარი. მოსწავლის საფეხური — ჯნანა (სიბრძნის) იოგაში განაფხვას გულისხმობდა, მეოჯახეობა კი ძირითადად — კარმის (ანუ საქმის) აღსრულებას. ადამიანი, რომელიც თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა ოჯახის წევრებისა და საზოგადოებისადმი, უარყოფითი კარმით იტვირთებოდა და ისჯებოდა სამსარაში (შობა-გარდაცვალების) ციკლში მოხვედრით. ასეთი იყო ინდუიზმში ადამიანის ქცევის კოდექსი. მაგრამ დროთა განმავლობაში არიული საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმები შეიცვალა. მასზე იმოქმედა ბევრმა ფაქტორმა, ერთ-ერთი მათგანი იყო შივაიზმი, ანუ თავყვანისცემა განადგურების ღმერთისადმი. შივა არიულების ღმერთი არ ყოფილა, ის იყო აბორიგენი მოსახლეობის ღვთაება, რომელიც ინდოევროპელმა ტომებმა დაიპყრეს. თავდაპირველად სისხლისმღვრელი რელიგიური ომებიც კი მიმდინარეობდა არიულებსა და ინდოეთის მკვიდრ (როგორც მეცნიერები ვარაუდობენ — ქალდეურ) მოსახლეობას შორის. მაჰაბჰარატაში არის ეპიზოდები ასევე ათასობით გველის კოცონზე დაწვის შესახებ (გველებს არიულები შივაიტი ქურუმებს ეძახდნენ შივას მესამე თვალის გველის რუდიმენტულ თვალთან მსგავსების გამო). ეს რელიგიური ომები საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, თუმცა, უშედეგოდ. ინდოევროპელებმა ვერ შეძლეს შივაიზმის ამოძრკვა, პირიქით, განადგურების ღვთაება შივა, საბოლოო ჯამში, არიულ პანთეონშიც კი შევიდა. საგულისხმოა, რომ შივაიტი იყო სელინჯერის ერთ-ერთი უსაყვარლესი მოძღვარი ვივეკანანდა, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მწერლის შემოქმედებაზე. თუმცა, ვივეკანანდა მხოლოდ შივაიტი არ ყოფილა, ის იყო მოდერნისტიც. მოდერნისტები კი ძველინდურ მოძღვრებას კასტებისა და ადამიანის განვითარების ოთხი საფეხურის შესახებ საერთოდ არ ცნობდნენ. სელინჯერი, როგორც ეს მისი ქალიშვილის, მარგარეტის ირონი-

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

დასასრული

 გულში გროვდება ისე, როგორც უპასუხო ზარის დუმილი, ეს შუალაძე, უვარსკვლავებო...

 გულს აწვრილებს დრო განელილი უიმედო მოლოდინივით...

 მოდი, დაეხატოთ სული: ავსახოთ მისი ველური ხასიათი!

 სად გაქრა სიტყვის მაგია? სადღაც სასულიეროდან საერო ტექსტებისაკენ მიმავალ გრძელ გზაზე განიზნა ის... გაუჩინარდა...

 ის თამაშობდა პოეზიის უკვდავ თეატრში: წერდა და შლიდა... ხოლო გამწყვრალ გულს უკითხავდა მცირე რამეს, რაც რჩებოდა სუფთა ფურცელზე...

 მაშარელაის ლეგენდა. სოფელი მამარა ჩემი სოფლის არახიჯის მომიჯნავე იყო... მამარა ეხლა ნასოფლარია: ძველისძველი, ჩაქცეული კედლები ასწლოვან ხეებს დაუფარია. აქ თითქმის ნაშლილია მაშარელთა ყოფნის კვალი, მაგრამ მეხსიერებაში არ გამქრალა ამ სოფლის შემზარავი ტრაგედიის შორეული ექო... მახსოვს: დედაჩემის მოყოლილ ზღაპრებში ხშირად გამოერეოდა „მაშარელაის ლეგენდა“: ეს ზეპირი მოთხრობა ბავშვობიდანვე მეც მთლიანად ვიცოდი. გამოხდა ხანი: ყოფიერების ბურუსმა ჩემს ხსოვნაში გადაფარა „მაშარელაის ლეგენდა“... და აჰა: მარიამ ნიკლაურის პოეტურმა კრებულმა „მარადისობის რიტუალმა“ კვლავ გააღვიძა ის უკვდავი მოთხრობა: აქ შთამბეჭდავ პოეტურ სტრიქონების კვალდაკვალ დაბეჭდილია მარიამ ნიკლაურის გამოკვლევა „საგზალი“. ეს პროზაული ტექსტი უფრო ლექსია: ამ ნიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, პროზად ნათქვამი! დიდი გვარის ნიკლაურის წარ-

მომავლობის და სხვადასხვა კუთხეებში განფენის შორეული ამბავი. მონათხრობია თავის ძველისძველ, ძირხატ ლალ იახსართან დაბრუნების, წარსულთან შეხვედრის ემოციური განცდები... ვფიქრობ: გულმოდგინე შრომაა საჭირო, ყოველ მეტნაკლებად ცნობილ ქართულ გვარზე ამგვარი გამოკვლევა რომ შეიქმნას!.. როცა პოეტზე და პოეზიაზე წერ, შესაძლოა შენშიც იფეთქოს პოეტურმა სულისკვეთებამ: ამის გამო თუ არის, ნიგნის რედაქტორის, ასევე პოეტის მარიამ ხუცყურაულის ბოლოთქმა პოეტურ განზომილებაში რომ თავსდება: თითქოს ესეა, მაგრამ ლექსია!.. ნიგნში პოეზიის თანამდევად გაისმის იმ დროის მონატრება, როცა „ხატს და კაცს ერთმანეთის ესმოდან“... ეს იყო მოსეს ეპოქა: მოსე ხომ ცხადლივ ელაპარაკებოდა ღმერთებს!.. ჯვარ-ხატების სადიდებლების და ფშაური ფოლკლორის ენა და სტილია ის ნიადაგი, სადაც განფხვნილა მარიამ ნიკლაურის პოემა. მთების ჰაერს სუნთქავს ის: მთების ცა ირეკლება ქვეტექსტების ტეხილ სარკეებში... ამ ჩანანერის ბოლოკუდა: ლექსების ნიგნია, მაგრამ ეს არის ერთი ნაღვლიანი პოემა, წვრილი ლექსებით აკინძული... ლიტერატურაში ამის მაგალითები ბევრია... გავისხენებ თავორის უკვდავ პოემას „გიტანჯალს“, წვრილ-წვრილი ლექსებით აკინძულს, ინდური სულის მარადიულ დარდს რომ აცხადებს და ერთარსად ჩამოძვრნავს... „მარადისობის რიტუალის“ სარჩევს ამოდ მოძებნით: ნიგნი ერთიანი პოემაა და სარჩევიც არ სჭირდება!.. ასე მთავრდება მაშარელაის ლეგენდა. პოეტი გვეუბნება, რომ ღვთისშვილისაგან ოტებული განეროდა წინაპართა ადგილს, თემსოფელს, სალოცავს... და იმასაც გვიცხადებს, რომ გამოხდა ჟამი და მისი მოდგმა კვლავ დაბრუნდა, თან მოიყოლა ნამიერი, მოიყოლა ხსოვნა წარუდინელი და მოიტანა ეს ნიგნი: დროის განწმენდილი სულის ანარეკლი, გულთ ნანერი!

 აჰა: ლიტერატურის ამღვრეულ სივრცეში პორნოპოეზიის ადვებებიც აღმოჩნდნენ! პოეზიის ანგელოზის ღვთაებრივი და სუსტი ფრთები ნუთუ გაუძლებს ამ ვაისიტყვის ჰაერს და სიმძიმეს!..



იმ დღეს რა დამავინყებს, უცოლოებმა ცოლიანები რომ ამოვიდეთ ფეხქვეშ. თითქოს ყველაფერი გამოგვდიოდა – კარში დარტყმებიც და უეცარი კონტრშეტევებიც, დაცვაში ჩადგომაც და პირველ ბურთზე თამაშიც. იმათ პენალტი გააფუჭეს მგონი მეორე ტაიმის სისხამზე და მაგის მერე სულმთლად წაიშალა გუნდი. ერთი-ორჯერ ერთმანეთისკენაც გაინიეს და ჩვენი გასაშვებელი შეიქნენ ეს ზრდასრული და წვრილშვილიანი კაცები.

უცოლო ვიყავი, მაგრამ იმათზე ნაკლები არც გამოცდილება მქონდა და არც მებრძოლი სული, თამაშის ენაზე „ფილკას“ რომ ეძახიან. თავის დაზოგვა არ ვიცოდი და ალბათ ამიტომაც იყო, წერვები რომ არასდროს მქონია წესრიგში. საშუალო სიმაღლის გამო გამოსვლებზე თამაშს ვერ იდებოდი, ჩემს ნახტომებს კი წულარ იკითხავთ – სულ ქებისა და ტაშისკერის საგანი იყო.

ცოლიანებმა რომ პენალტი გააფუჭეს, ჩემი წვლილიც არის მაგაში. ალებით არ

ტის ნიშნულსკენ ჰქონდა გაშვებული. ხალხმა იხუვლა და ალბათ მთელი ხუთი ნუთი გავიდა, სანამ დიდ-პატარა, მოხუცი, ბავშვი, ბერბიჭა თუ გასათხოვარი ჩემს კარსუკან მოიყრიდა თავს. სუნთქვა შემეკრა. მაშინ ვიფიქრე, რომ ამ გოლის გაშვებით ჩემს თავსაც, თანაგუნდელებსაც, მწვრთნელსაც, თან წამოყოლილ მშობლებსაც და ჩვენი მარშუტის მძღოლსაც კი გადავარჩენდი, ამიტომ ოცნებები და ამბიციები უნდა მომეთოკა.

იმ ტიპისთვის, ვინც პენალტს ურტყამდა, არც შემხედვარს, მხოლოდ მისი დაღრეცილი ფეხები მომხვდა თვალში, ოდნავ ჩანეული გამაშები ეცვა და ექვსპიპიანი ბუცები, რაც მაშინ დიდი ფუფუნება იყო. მარცხენაით აპირებდა დარტყმას და ეგრევე შევატყვე, ჩემზე მეტად ლელავდა. სანამ მსაჯი ჩასტვენდა და იმედა (მოგვიანებით მითხრეს მისი სახელი) ჩამოიბრუნდა, რალაცნაირად, წამიერად ჩამესმა თუ მომაგონდა ერთი ძველი მეკარის დარიგება, პენალტის დროს ფეხბურთელის სახეს

ერთიხანობა მინყდა ფეხბურთელის ნამდვილ, გადაკეთებულ, ძველ მეტრიკადახეულ და ახალ მეტრიკაში ჩასწორებულ დაბადების წელზე კამათი, სეზონიც ჩამთავრდა და დაიწყო მშვიდი, აუღელვებელი ვარჯიშების სასიამოვნო ხანა. ოთხი წრე ძუნძულით, მოთელვა, ბურთთან ნათამაშება, კვადრატი, კარში დარტყმები, ისევ ოთხი წრე და როგორც ჩვენი ერთი მეგობარი იტყოდა: „სირბილით რაზღვევალკაში“.

განცხრომამ დიდხანს არ გასტანა. იმავე მეგობარმა, ადრე გასახდელისკენ რომ მიეჩქარებოდა, შიშნარევი მოლოდინით გაგვიმხილა ერთ დღეს: „სტუმრები გვყავს!“

უცხო და ეგზოტიკური იყო ბაქოელები ჩამოსვლა ქალაქში, ჩვენგან ასაკითაც რომ გამოირჩეოდნენ და გარეგნობითაც. „ეს ვინები არიან, ამ გადაზრდილებთან როგორ ვათამაშო ბავშვები“ – აღმოხდა ჩვენს მწვრთნელს მათ დანახვაზე. აქტიური მშობლები ფედერაციის წარმომად-

ბაქოელებიც გადმოვიდნენ შეტევაზე. ორჯერ ისეთი მოჭრილი და ჩახვეული ავიღე, გამოცდილ გოლიპურებს შეეხარბებოდათ, მაგრამ ტაიმის ბოლოს, იმ იმედსავე, მეც ვჭამე ბებიჩემისა. შორიდან დარტყმულზე ვერ მოვზომე, ბურთი გამოვარდა და დამატებაზე მათმა მეცხრე ნომერმა დამასწრო. კარს რომ გამოვხედე, მომეჩვენა, თითქოს ჩემი სისუსტითა და დაუდევრობით დაქცეული ციხისიმაგრე შემომყურებდა და ვისაც რა უნდოდა, იმას შეიტანდა და გამოიტანდა იქიდან.

მგონი, სამით ერთი წაავაგეთ ის თამაში. ხალხი უხალისოდ დამიშალა.

სტადიონს გასახდელი არ ჰქონდა და ტრიბუნაზე მოგვინია ტალახში ამოთხვრილი ფორმის გამოცვლა.

როცა მოგებული ხარ, გახდაც შნოიანი გამოგდის, წაგებულზე კი ხან ბუცს ვერ გაიძრობ და იმაზე მოგეშლება წერვები, ხანაც მაისურიდან თავი არ გამოგეტევა და, სხვა რა გზა გაქვს, დგახარ და იგინები.

თითქოს ესეც არ კმაროდეს, ფედერაციიდან მოგადგება ვილაც გაბლენძილი და ფეხზე უნდა წამოუდგე.

– არა უშავს, მოგება და წაგება ძმები არიან, – ვითომ გვანყნარებს, გვიმინაურდება, – ხო გესმით, მაინც სტუმრები არიან...

– სტუმარი არისო და ბარემ ეგეც მიცვით, – ზურგს უჩვენებს შონო, ნიფხავიც ტალახში ამოსვრია.

– გასასვლელთან გველოდებიან ბაქოელები, – გაბლენძილი არ იმჩნევს ქილიკს, – სულ სამი-ოთხი დღე რჩებიან ჩვენთან და როგორმე უნდა დავიწინილოთ სახლებში. მწრთენელებს ჩვენ წავიყვანთ, ფეხბურთელებს თქვენ უნდა მიხედოთ.

– რა ენაზე ველაპარაკო, მას?

– ნუ გეშინიათ, გაუგებთ ერთმანეთს.

უცებ გამახსენდა, რომ მამაჩემის მკვიდრ ბიძაშვილს ჯარი ლენქორანში ჰქონდა მოხდილი, საყველპუროდ იცოდა აზერბაიჯანული და ჩვენთანაც ხშირად იმეორებდა რალაც შთამბეჭდავ ფრაზებს. „გედერსენ“ – ერთი სიტყვა მომაგონდა მისი რეპერტურიდან, მომაგონდა კი არა, ლამის თვალწინ დამიდგა და სანამ სტუმრის არჩევამ ჩემი რიგი მოახვედა, ასჯერ მაინც გავიმეორე.

სტუმარი კი ნუ იკითხავთ, მე რომ შემხვდა – იმ პირველი გოლის გამტანი, ჩემი უპატიებელი სეცდომით ვინც ისარგებლა და მთელი გუნდი მორალურად დასცა. ეტყობა, მისი შინ წაყვანა არავინ ისურვავდა მე შემატოვებს ბოლოს.

მოზუბული იდგა. დამინახა თუ არა, ცალყბად გაიღიმა და გულში იფიქრებდა ალბათ – რა თავს ვიკლავდი, გოლი რომ გამქონდა, ავერ ახლა ლამის გასათევიც კი საძებარი გამიხდაო.

შემებრალა, გავუღიმე, მხარზე ხელი გადავხვიე და ის მაგიური სიტყვა ვუთხარი:

– გედერსენ!

იმასში მართალი გამოდგა გაბლენძილი კაცი ფედერაციიდან: ადვილად გავუგეთ ერთმანეთს. მალე შევიტყვე, რომ ჩემი სტუმარი ოთხმოცდაოთხიანი, ანუ ჩემზე და ამ ტურნირზე ორი წლით გადაზრდილი ყოფილა, ზეპირად ვისწავლე მისი ოჯახის წევრების სახელები, საფეხბურთო ტერმინოლოგია და მათეზური გინების ნაირსახეობანი.

...წლების შემდეგ კი, როცა ჩემგან ფეხბურთელი არ დადგა, ბოლომდე მაინც ვერ ვთქვი უარი გადაზრდილებთან თამაშზე.

და იმ დღესაც რა დამავინყებს, უცოლოებმა ცოლიანები რომ ამოვიდეთ ფეხქვეშ, მახოს თავისი კაპასი ცოლი ნაზია გამოუვარდა და სახალხოდ წამოაძახა:

– უსინდისო შეენ! ბავშვი სასექტემბროდ სკოლაშია გასაშვები, ნიგნი და ჩასაცემელი არა აქვს და მაზიანზე თამაშობ, ჭკუა ვერ ისწავლე!



ამილია, ის კი არა, მოვტყუვდი, მარცხენა კუთხეზე წავედი და იმან ცენტრში დამირტყა, მაგრამ მაღალი მოუვიდა. საერთოდაც, დარტყმამდე ეტყობოდა დაბნეულობა და ასე მგონია, კიდევ უფრო დაეაზნე ჩემი ცმუკვა-ცმუკვითა და ნახტომის წინა უჩვეულო ილეთებით.

პენალტი ერთადერთი რამაა, რომლის გაშვებამაც მეკარეს ვერ დაადანაშაულებ, მაგრამ თუ აიღო, შეუძლია ამაყად დატოვოს სტადიონი.

ერთხელ იყო, რომელიღაც სოფლის გუნდს ვეთამაშებოდი. თავის სტადიონზე ფრეც არ ჰქონდა. კაი ბიჭი იყავი, მათ დილი-იხორზე არ გემსაჯა და გამაყრუებელი სტვენისა და გინებისთვის არ მიგეჩვია ყური. ჰოდა, ისე მოხდა, რომ მეხუთე ნუთისთვის ორით ნოლს ვიგებთ. დენტის სუნი მცემს – პერნატკები გავიხსენი, შევიკარი, დაესუნე მაინც. კარსუკან გავიხედე: ვილაც ხუთი-ექვსი წლის ლანჩიაკი დამდგარა და თვალს მიკრავს, ტყუილა ნუ გიხარია, ყოფას გიტყვებენო. ამ დროს, ერთი ვირგლა გარემარბი ჰყავდათ, მარცხენაზე წაიგდო ბურთი, ცოტა გაექცა, მაგრამ ბოლო წამს ჩანოდება მოასწრო, ჩვენმა ჩისტილჩიკმა გამოტანა სცადა და ფეხს ხელიც ჩაუფინა გვარიანად. მსაჯს გავხედე და, დედას ვფიცავარ, ორივე ხელი პენალ-

კი არა, ფეხს უყურე, რომელი ფეხითაც დაგირტყამს, ბურთიც, ათიდან რვა შემთხვევაში, იმ მხარეზე წავაო.

ორი წამის შემდეგ: ბურთი გულში მქონდა ჩახუტებული. პირველი ის ჩისტილჩიკი გამოიქცა და მაკოცა. მერე იმედას გავხედე, ჩაკეცილი იჯდა და გაოგნებული ბუცის თასმებს იხსნიდა. კარსუკან არც გამიხედავს.

ექვსით ნოლი მოვიგეთ თამაში. გზაში იმედას ვინ ახსენებდა, სულ ჩემს ალებულ პენალტზე იყო საუბარი, მაგრამ ეტყობა სიტყვამ მოიტანა და ერთ-ერთმა მშობელმა ჩაილაპარაკა სხვათა შორის – მაგის თამაში როგორ შეიძლებოდა, ეგ ხომ გადაზრდილი არისო.

– რას ამბობ, კაცო, მართლა? – ეჭვით ჩაეკითხა ჩვენი მწვრთნელი.

– ტრიბუნაზე ამბობდნენ ვილაცები, მაგან არც ოთხმოცდაორგოდიანებში ივარგა, არც ოთხმოცდაოთხიანებთან და ოთხმოცდაექვსიანებშიც ჭამა ბებიამისისო.

– ეეჰ, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, – თქვა მწვრთნელმა და მაშინ ვიფიქრე, თუ ამ გადაზრდილების ხელშია ჩვენი ქვეყნის ბედი, ნუღარ ვათამაშებთ საერთოდ, ისედაც არაფრის გამკეთებლები არ არიან-მეთქი.

გენელთან მიიჭრენ, კუშტი და მრისხანე სახეები ჰქონდათ – თვალში ვერ იხედებით, კაროჩეგავარია, მეხუთეკლასელი ბავშვები გინდათ წვერულვაშიან ხალხთან დააჯახოთო?! მაინც ვერაფერმა გაჭრა, უფრო სწორად – სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციამ იმძლავრა ბოლოს და პირველივე თამაში მათთან მოგვინია.

თავიდან დაზვერვას ჰგავდა ყველაფერი, გაუმწვავებულ, უხიფათო შეტევას ხეირიანი არც უნდა მოჰყოლოდა რამე. თამაშამდე ისიც თქვეს, სტადიონზე ცნობილი ბიზნესმენი იმყოფება, რომელიც სამომავლოდ ორი ფეხბურთელის ამორჩევას აპირებს, უცხოეთში წაყვანას, განრთვნას და გრანდებში გაყიდვასო. იმ კაცზე ამბობდნენ, გაჭირვებისა და ლტოლვილობის დროს დიდი ფული იშოვა, ათასი საქმე წამოიწყო, მაგრამ სანუხარიც აქვს, შვილი არ უჩნდებაო.

ნახევარმცველი გვყავდა ერთი – გვარლიანი, ჭკვიანი და ფიზიკურად ძლიერი ბიჭი. პირველი გარღვევა იმან გააკეთა ბაქოელთა კარისკენ და ისეთი დააჭედა, ძელს რომ არ მოხვედროდა, მაგის ამლები ის მეკარე არ იყო. მაშინ მახსოვს, ყველა თავი ერთიანად შემობრუნდა და იმ ბიზნესმენს დაუწყო ყურება – აბა, რას იტყვის, მოენონა თუ არაო.

ლიტერატურული გაზეთი
 გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
 რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**
 რედაქტორის მოადგილე **ურა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული**
 ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com